2014 წელი, 12-18 ივნისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

# ახალი განათლება

№22 (656) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

# იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა



გვერდი 4

## რუბრიკის „პროფესია პედაგოგი“ სტუმარია ჭუბერის სკოლის ხელოვნების მასწავლებელი ლილე ჩხეტიანი

„მე სწორედ ის სკოლა დავამთავრე, სადაც ახლა ვმუშაობ – ჭუბერის საჯარო სკოლა, რომელიც სვანეთის მაღალ მწვერვალებს შორის, ჭუბერის თემში დაუარსებიათ 1912 წელს. წლების შემდეგ, საშუალო სკოლა რომ გახსნილიყო, ნახევარ წელიწადს უხელფასოდ უმუშავნიათ, თაობათა განვითარებაში დიდი წვლილი შეუტანიათ, საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბების იმედი არ დაუკარგავთ აქაურ მასწავლებლებს.“



## მალნუტრიცია

### შერყეული ჯანმრთელობა და განათლების დაბალი დონე

ყოველწლიურად კვების დეფიციტით გამოწვეული დარღვევების გამო, 300 ბავშვი იღუპება. 10 წლის განმავლობაში მალნუტრიციამ ქვეყანას 1.3 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა და 4300 ახალშობილის სიცოცხლე იმსხვერპლა.

გვერდი 3

ჩაერთე ინტელექტუალურ ვიქტორინაში
„წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“
საქართველოს სასკოლო სპორტის
ეროვნული ფედერაციის ფეისბუქ-გვერდზე
GameTV

*ქართული როგორც მეორე ენა*

## გზა საბოლოო მიზნამდე



გვერდი 7

„დიდი მადლობა ყველა ჩემ კოლეგას და ყველა ჩვენ მოსწავლეს გუშინდელი დღისთვის. ჩემი პირადი შეფასებით და განცდებით ეს იყო ქართული ენის ზეიმი და ჩვენი პროგრამის „ვასწავლოთ ქათული, როგორც მეორე ენა“ ტრიუმფი, ვამაყობ თითოეული ჩვენგანით! ყველა საქებარი სიტყვა, რომელიც გუშინ გაჟღერდა იყო აბსოლუტურად გულწრფელი იყო. სასახლის ძალიან გამოცდილი თანამშრომლები ასე იოლად არ აფრქვევენ საქებარ სიტყვებს. ის, რომ რამდენიმე თემა იქვე შეარჩიეს და მოიწვიეს კონფერენციაზე, ძალიან დიდი შეფასებაა, ბავშვები ბედნიერები და ამაყები იყვნენ. მათ სამუდამოდ შეუყვარდათ ქართული, რადგან სწორედ ქართულმა ენამ აზიარა ისინი სიყვარულს, დაფასებასა და ქებას.“

ინგა ბაგრატიონი

ინფორმაცია

# ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ანტინარკოტიკული კამპანიის **„არა ნარკოტიკს, ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება!“** ფარგლებში, მოსწავლეებისათვის ნახატებისა და ესეების კონკურსები ჩატარდა. სასკოლო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და მოწვეულმა სტუმრებმა დააჯილდოვეს.

ნახატების კონკურსში, შესაბამისი სლოგანით, VII-XII კლასის მოსწავლეებმა ანტინარკოტიკულ თემაზე ნახატები შექმნეს, მათგან საუკეთესოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოიფინა. გამარჯვებული ნახატების ავტორებს დიპლომები, სიგელები, ფულადი პრიზები და წიგნის მაღაზიის ვაუჩერები გადაეცათ.

ესეების კონკურსის ფარგლებში, VII-XII კლასის მოსწავლეებმა მოკლე ესეები მოამზადეს და საკუთარ სკოლებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს წაუკითხეს. მოსწავლეთა საჯარო გამოსვლების ვიდეოჩანაწერების საფუძველზე კი, სპეციალურმა კომისიამ 20 საუკეთესო ესე გამოავლინა, რომელთა ავტორებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ერთწუთიანი მიმართვით – **არა ნარკოტიკს, ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება!** – სტუმრებისა და ჟიურის წინაშე წარდგნენ.

კამპანიაში ჩართულმა სხვადასხვა სამინისტროსა და შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჟიურიმ, საჯარო გამოსვლების შეფასების შედეგად, I-II-III ადგილებზე გასული მოსწავლეები გამოავლინა და მათ ჯილდოები და საჩუქრები გადასცა.




# შპს უმაღლესი სასწავლებელი „ორიენტირი“ აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

**ა) ბიზნესის ფაკულტეტი:**
პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (საბუღალტრო აღრიცხვა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ეკონომიკა (მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) – 1 საშტატო ერთეული.

**ბ) ჯანდაცვის ფაკულტეტი:**
პროფესორი – ჯანდაცვა (ფარმაცია) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (ფარმაცია) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (მედიცინა) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ქიმია (ორგანული ქიმია, არაორგანული ქიმია) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – ჯანდაცვა (ფარმაცია) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – ჯანდაცვა (მედიცინა) – 1 საშტატო ერთეული.

**გ) საუნივერსიტეტო დისციპლინების მოდული:**
ასოცირებული პროფესორი (აკადემიური წერა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორია) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (ინფორმაციული ტექნოლოგიები) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (ინგლისური ენა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (გერმანული ენა) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი (საქართველოს ისტორია) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი (ინგლისური ენა) – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი (გერმანული ენა) – 1 საშტატო ერთეული.

*კონკურსანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

**პროფესორად აირჩევა პირი, რომელსაც აქვს:**
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
გ) ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წარმოაჩენს მის კვლევით პოტენციალს;
დ) მეცნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა;
დ) წარმოადგენს სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსებს, რომელთა წაკითხვაც შეუძლია.

**ასოცირებულ პროფესორად აირჩევა პირი, რომელსაც აქვს:**
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) არანაკლებ 3 (სამი ) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
გ) ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წარმოაჩენს მის კვლევით პოტენციალს;
დ) წარმოადგენს სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსებს, რომელთა წაკითხვაც შეუძლია.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ასევე პროფესიული ნიშნით.** ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია:
პუბლიკაციები, მათ შორის ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას ან აქვს პროფესიული გამოცდილების 5-წლიანი სტაჟი და სპეციალური მომზადება.

**ასისტენტ-პროფესორად აირჩევა პირი, რომელსაც აქვს:**
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წარმოაჩენს მის კვლევით პოტენციალს.

**ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ასევე პროფესიული ნიშნით.** ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია:
პუბლიკაციები, მათ შორის ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას ან აქვს პროფესიული გამოცდილების 3-წლიანი სტაჟი და სპეციალური მომზადება.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**
ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის შესაბამისად);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) CV (დადგენილი ფორმის შესაბამისად, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
დ) ერთი ფოტოსურათი 3X4;
ე) უმაღლესი განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;
ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შრომის წიგნაკის ასლი;
ზ) პროფესიული გამოცდილების ან/და სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
თ) ბოლო ათი წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კანდიდატის კვლევით პოტენციალს;
ი) ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების/სტატიების სია და ასლები, ყველა ნაშრომის თავფურცელის, სარჩევისა და სტატიის ამონარიდის დართვით (არ არის სავალდებულო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად);
კ) წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსები – ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (არ არის სავალდებულო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად).

**კონკურსი ცხადდება 2014 წლის 12 ივნისს**

**საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს მისამართზე:
თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №28, მე-2 სართული, ოთახი №12
2014 წლის 14 ივლისიდან 2014 წლის 24 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, უქმე და დასვენების დღეების გარდა, 11.00 საათიდან 17.00 საათამდე**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2014 წლის 31 ივლისს**

ნუტრიციული კვლევა

# მალნუტრიცია
# შერყეული ჯანმრთელობა და განათლების დაბალი დონე



ლალი ჯელაძე

საქართველოს, დაახლოებით, 500 000 მოქალაქე, უმეტესად ქალი და ბავშვი, კვების დეფიციტის რომელიმე ფორმას განიცდის. ამის გამო, ისინი ვერ გამოიყენებენ სრულად თავიანთ შესაძლებლობებს როგორც მოსწავლეები, პროფესიონალები, მოქალაქეები ან მშობლები.

იუნისეფის კვლევა „ჯანდაცვის გაუმჯობესება და კეთილდღეობის ზრდა“, 2013 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული, ასახავს საქართველოში კვების მწვავე დეფიციტის ეკონომიკურ დანახარჯებს, ასევე მის მძიმე ზეგავლენას ადამიანების სიცოცხლეზე.

კვლევის თანახმად, ყოველწლიურად, კვების დეფიციტით გამოწვეული დარღვევების გამო, 300 ბავშვი იღუპება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მალნუტრიციამ 3400 ახალშობილის სიცოცხლე იმსხვერპლა. მხოლოდ ამჟამინდელ მცირეწლოვან ბავშვებში, ვიდრე ისინი სრულწლოვანებას მიაღწევენ, კვების მწვავე დეფიციტი გამოიწვევს პროდუქტიულობის დანაკარგს, ყოველწლიურად, 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. თუ ამ თანხას სოციალური მომსახურების ხარჯებს მივუმატებთ, რომელიც ხმარდება ახალშობილებში კვების, ხოლო ზრდასრულებში რკინის დეფიციტთან დაკავშირებულ პრობლემებს, საქართველოს ეკონომიკის ზარალი, ათი წლის განმავლობაში, 1,3 მილიარდ დოლარს მიაღწევს. თუმცა, ამავე ანგარიშის თანახმად, ეკონომიკის ეს ტვირთი შეიძლება ერთი მეოთხედით – 343 მილიონი აშშ დოლარით შემცირდეს ათი წლის განმავლობაში, თუ დაინერგება მარტივი და ადვილად განხორციელებადი ნუტრიციული პროგრამები, როგორიცაა: მიკროელემენტების დანამატები, ფქვილის ფორტიფიკაცია და ექსკლუზიური ძუძუთი კვების პოპულარიზაცია. ამ პროგრამების ღირებულება, ათი წლის განმავლობაში, მხოლოდ 15 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც თითოეული ინვესტირებული დოლარი 20 აშშ დოლარზე მეტ ამონაგებს მოიტანს. თუ ძირითადი აქცენტი გაკეთდება კვების მწვავე დეფიციტის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე, მათ შორის ორსულ ქალებზე, ჩვილებსა და მცირეწლოვან ბავშვებზე, დროული ინტერვენციის წყალობით, შესაძლებელი გახდება, დაახლოებით, ათასი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა ერთი ათწლეულის განმავლობაში.

ამ პრობლემების შესახებ „ფრონტლაინ ჯორჯიაში“ დისკუსია გაიმართა.

ბავშვთა მალნუტრიციით გამოწვეული ზიანის ინდიკატორების შესახებ პედიატრმა, პროფესორმა **მაია ხერხეულიძემ** ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთანაც ბევრი სხვა პრობლემა ასოცირდება – სიკვდილიანობა, არასრულყოფილი ჯანმრთელობა, განათლების დაბალი დონე. არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ კვებითი ელემენტების ნაკლებობით კოგნიტური სფეროსა და მენტალური პრობლემები წარმოიშობა, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სწავლის პროცესზე.

*„თუ ადრე მალნუტრიციას განვიხილავდით, როგორც სიღარიბის შედეგს, დღეს ვრწმუნდებით, რომ მალნუტრიცია თვითონ შეიძლება იყოს სიღარიბის ერთ-ერთი ელემენტი. თუ ჩვენს ორგანიზმს არ ვაწოდებთ სწორ, ბალანსირებულ საკვებს, ეს, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს, მეორე მხრივ, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს განათლებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეითდება შესაძლებლობების უნარი, რაც შემდგომ უარყოფითად მოქმედებს სწავლაზე, სწავლა ავტომატურად აისახება დასაქმებაზე და, საბოლოოდ, ისევ სიღარიბესთან მივდივართ, –* ამბობს მაია ხერხეულიძე, *– მალნუტრიცია მხოლოდ და მხოლოდ კვების ისეთ დარღვევებთან ასოცირდებოდა, როგორიცაა სიმაღლისა და წონის დეფიციტი. გარდა ამისა, ჭარბწონიანობაც, რაც, თავის მხრივ, არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს, სწორედ მალნუტრიციას უკავშირდება. არაბალანსირებული ჭარბი კვება იწვევს სიმსუქნეს, რომელიც მოზრდილობაში უამრავ პრობლემას წარმოშობს. ადამიანების იმ ჯგუფში, რომლებიც ჭარბწონიანებს განეკუთვნებიან, გაცილებით მაღალია რისკი ჰიპერტონიის, გულსისხლძარღვთა დაავადებების და დიაბეტის.*

*ბავშვის ადეკვატური განვითარებისთვის სწორი კვება ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან: დადგენილია, რომ იოდის დეფიციტი ორსულობის პერიოდში არა მხოლოდ ასახვას ჰპოვებს ახალშობილის და ჩვილის გარკვეულ უნარებზე (ხშირია ხოლმე მოტორული სფეროს დარღვევები), არამედ სასკოლო ასაკშიც იწვევს კითხვის უნარების დარღვევას, ზოგადად, სწავლაში ჩამორჩენას. იგივე შეიძლება ითქვას რკინადეფიციტურ ანემიაზე, რომელიც ასევე განაპირობებს სასკოლო უნარების, განსაკუთრებით, ყურადღების დეფიციტის პრობლემებს. ძალიან მაღალია კავშირი რკინადეფიციტურ ანემიასა და ყურადღების დეფიციტს შორის. კავშირია არა მხოლოდ მაშინ, როცა ეს პრობლემა ვლინდება, არამედ მაშინაც კი, თუ ის ბავშვს გადატანილი აქვს – წლამდე ასაკის ბავშვში მალნუტრიციამ, ანუ გარკვეული კომპონენტის დეფიციტმა, შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს მის მომავალ განვითარებაზე – სწავლის უნარებზე. ბავშვებში რკინადეფიციტურმა ანემიამ, ყურადღების დეფიციტის გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი და მათემატიკური აზროვნების დარღვევები, მოზრდილებში კი ხშირია მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს არ არის პრობლემა, რომელიც მხოლოდ დღეს მოქმედებს და ხვალ აღარ იქნება. პრობლემა თუ დღეს არ მოვაგვარეთ, ხვალ მივიღებთ განათლების დაბალ დონეს, რომელიც, რასაკვირველია, ქვეყნის განვითარებაზეც ცუდად აისახება. როგორც ვიცით, ათასწლეულის მიზნების განხორციელებისთვის ვილწვით, ამ მიზნების შესრულების ერთ-ერთი ქვეკომპონენტი სწორედ მალნუტრიციის აღმოფხვრაა. დადგენილია ისიც, რომ ბავშვთა სიკვდილიანობის 60 პროცენტი სწორედ მალნუტრიციასთანაა დაკავშირებული, მის ფონზე განვითარებული დაავადებები, რომლებიც გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს, ხშირად იწვევს სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდას. ასევე, მალნუტრიციასთანაა კავშირში დედის ჯანმრთელობაც. ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია, თუ არ გავაუმჯობესეთ მისი კვება. მეტიც, ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქალის კვებაზე.“*

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რიგ შემთხვევებში, კატასტროფული მონაცემები აჩვენა, განსაკუთრებით ანემიის კომპონენტში – გამოვლინდა, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვთა 22,8%-ს და ორსულთა 25%-ს აღენიშნება ანემია. დაბალი წონით დაბადებული ახალშობილების სიხშირე, დაახლოებით, 5,5-6 პროცენტია. თუნდაც ეს მცირე პროცენტი ყურადსაღებია, რადგან არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ დაბალი წონით დაბადებულ ბავშვთა ინტელექტი 10 ქულით ჩამორჩება ჩვეულებრივი წონით დაბადებულ ბავშვთა ინტელექტს. კიდევ ერთი პრობლემა, რაც კვლევამ ცხადყო, არის ზრდაში ჩამორჩენა, რისი მიზეზიც ქრონიკული მალნუტრიციაა, ანუ მალნუტრიცია, რომელიც მწვავედ არ მიმდინარეობს, დროშია გაწელილი და იწვევს მკვეთრ დარღვევებს.

*„დღეს აუცილებელია ეფექტური ქმედებები. დოკუმენტი თვითონ მოიცავს სტრატეგიულ გეგმას, თუ როგორ შეიძლება თითოეული ამ პრობლემის დაძლევა. პირველ რიგში, ეფექტურია ორსულობის დროს განხორციელებული პრევენციული ქმედებები –* აღნიშნა მაია ხერხეულიძემ, *– მნიშვნელოვანია საკვების ფორტიფიკაცია, რომელსაც მსოფლიოში ძალიან ბევრი ქვეყანა მიმართავს. საკვების ფორტიფიცირება კარგი სტრატეგიაა იმისთვის, რომ პოპულაციურად აღმოიფხვრას გარკვეული დეფიციტი, მსოფლიოში ამის ბევრი მაგალითია. ხდება ფოლიუმის მჟავით ფორტიფიკაცია. გარკვეულწილად, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ, როგორც მალნუტრიციის აღმოფხვრის სტრატეგია.*

*კვების საკითხებში ჩადებული ინვესტიცია მომგებიანია სახელმწიფოსთვის. დღეს ჩადებული ერთი დოლარი მომავალში 30 დოლარის მოგებას იძლევა. ეს მოგება გამოიხატება ადამიანის ჯანმრთელობით, სიკვდილიანობის შემცირებით, შრომისუნარიანობისა და განათლების დონის გაუმჯობესებით. თუ დღეს ამ სტრატეგიებს განვახორციელებთ, ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სიკვდილიანობის შემცირებას, მეორე მხრივ, ეკონომიკურ მოგებასაც მისცემს სახელმწიფოს“.*

ზიანის შესამსუბუქებლად ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული პროგრამების, რეკომენდაციებისა და შემოთავაზებული სერვისების შესახებ ისაუბრა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა **მარინა დარახველიძემ**. ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი სერვისია, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროში უკვე დამტკიცდა, შეძენილია მედიკამენტებიც. დაიწყო ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატებით საქართველოს ორსული ქალების უზრუნველყოფა. *„დასაწყისში ჩვენ გამოვყავით ორსული ქალები, მიზნობრივად, პირველი 13 კვირის განმავლობაში, მათზე უფასოდ გავცემთ საჭირო რაოდენობის ფოლიუმის მჟავას, დღეში – 400 მგ. პრეპარატის გაცემა, პირობითად, მიბმულია ანტინატალურ პროგრამას. ორსულს შეუძლია 13 კვირამდე არ აიღოს კუთვნილი ვაუჩერი და არ ისარგებლოს ვიზიტით. პროგრამის ერთმანეთზე მიბმით კი, მჟავის აღების საშუალება ორსულს მაშინ ექნება, თუ ვაუჩერს აიღებს, რაც უნდა მოხდეს ორსულობის საწყის ეტაპზე. ამდენად, მათი მოტივაცია გაიზრდება, რომ პატარას ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისთვის და შემდგომში ძალიან კარგი ინვესტიციისთვის, რაც შეიძლება ადრეულად, მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს, აიღონ კუთვნილი ვაუჩერი და, პარალელურად, მიიღონ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფოლიუმის მჟავის უფასოდ მიღების უფლება. მკურნალი ექიმის რეცეპტის საფუძველზე, ისინი მიმართავენ აფთიაქს და მიიღებენ პრეპარატის საჭირო რაოდენობას. თუკი ორსულობა ვადაზე ადრე შეწყდება, შეუძლიათ მაინც გააგრძელონ პრეპარატის მიღება, ეს ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.*

*რაც შეეხება რკინის პრეპარატებით უზრუნველყოფას, ორსულთა ანემია ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში შეიძლება გამოვლინდეს. ვიფიქრეთ, რომ, ამ ეტაპზე, უმჯობესი იქნებოდა, ინვესტიცია ჩაგვედო ორსულობის 26-28 კვირის ვადაზე, ეს ის ვადაა, როდესაც აბორტი უკვე ნაკლებად გვაქვს სახეზე, ძალიან დიდია ნაადრევი მშობიარობების რისკი და სწორედ აქ შეგვიძლია ქალის დახმარება, რომ ისინი მშობიარობას მომზადებული შეხვდნენ.*

*დასაწყისისთვის რკინის პრეპარატები, დღეში, 200 მგ-ით განისაზღვრება, მხოლოდ იმ ორსულებისთვის, რომლებსაც დადასტურებული რკინადეფიციტური ანემია აქვთ. ამ შემთხვევაში ეს ვაუჩერზე მიბმული არ არის. სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევები, როცა ქალი 13 კვირამდე არ აკითხავს სამედიცინო დაწესებულებას ანტინატალური მომსახურებისთვის. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს მოქალაქე ყველა ორსულმა ისარგებლოს ამ სიკეთით. არ არის აუცილებელი, რომ ორსული სარგებლობდეს ანტინატალური მომსახურებით, დადასტურებული დიაგნოზის შემთხვევაში, ის აღნიშნულ პრეპარატს მაინც მიიღებს“.*

საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს სტრატეგია 2014-2015 წლებისთვის, ეს არის ადამიანთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა, სადაც სპეციალური ქვეთავი ეძღვნება ბავშვთა უფლებების დაცვას, რომელშიც მალნუტრიციის შემცირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. წამყვანი პასუხისმგებელი ორგანო ჯანდაცვის სამინისტროა. როგორც მარინა დარახველიძემ აღნიშნა, იმისათვის, რომ პრობლემა მხოლოდ სახელმწიფოს მხრებზე არ დარჩეს, აუცილებელია ამაღლდეს მოსახლეობის განათლების დონე ამ სფეროში, რომ მომავალში, საზოგადოებაც აქტიურად ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში. მკვლევრების შეფასებით კი, მდგომარეობა შეიძლება შემსუბუქდეს ადვილად განხორციელებადი ნუტრიციული პროგრამების დანერგვის შედეგად, როგორიცაა მიკროელემენტების დანამატები, ფქვილის ფორტიფიკაცია და ექსკლუზიური ძუძუთი კვების პოპულარიზაცია.

გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის პროგრამის სპეციალისტის, **თამარ უგულავას** თქმით, ამ შრომას საფუძვლად დაედო 2009 წელს ნუტრიციული სტატუსის შესწავლა. კვლევისას სამიზნე ჯგუფი რეპროდუქციული ასაკის ქალები და 5 წლამდე ბავშვები იყვნენ – *„მოსახლეობაში შევისწავლეთ ანემია, ანემიაში რკინის დეფიციტის წვლილი. შევისწავლეთ ბავშვების ანთროპომეტრული მონაცემები, მათი სიმაღლე, წონა, გარდა ამისა, ძუძუთი კვების და ზოგადად ბავშვების კვების პრაქტიკა. შევისწავლეთ ორსული ქალები, მათი წონა, ანემია და ანემიის მდგომარეობა, იმუნოდეფიციტის გავრცელება.*

*აღმოჩნდა, რომ 10 წლის განმავლობაში, ამ კუთხით, ინტერვენციის არარსებობამ განაპირობა ის, რომ ქვეყანამ 6,3 მილიარდი ლარის ზარალი მიიღო. ამას ემატება მორალური და ეთიკური ზარალი, რაც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობით გამოიხატა.*

*2009 წლის კვლევაში ერთ-ერთი ინდიკატორი 5 წლამდე ასაკის ბავშვებში წონის სიმცირე იყო. შეესაბამებოდა თუ არა 5 წლამდე ბავშვი თავის წონით მრუდს, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ განსაზღვრა. კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები გადაცდენილი არიან ამ ზღვარს, არა წონის სიმცირით, როგორც მაგალითად აფრიკის ქვეყნებში, არამედ წონის სიჭარბით. გადაცდენა გამოვლინდა სიმაღლის მხრივაც, ანუ საქართველოში ბავშვები უფრო დაბლები და მსუქნები არიან, ვიდრე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სტანდარტებით უნდა იყვნენ. ამას სამედიცინო ენაზე ორმაგი ტვირთი – ზედმეტი წონა და დაბალი სიმაღლე – ეწოდება“.*

თამარ უგულავას მიაჩნია, რომ მსგავსი პრობლემის შესწავლა ქვეყანაში, რუტინულად თუ არა, კვლევებით მაინც, თუნდაც 3 წელიწადში ერთხელ, უნდა ტარდებოდეს: *„ქვეყანაში, სადაც ასეთი პრობლემები აღმოჩნდა და გამოვლინდა, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს სტრატეგია, რომ 2014 წელს ისევ შევისწავლოთ საკითხი – არის თუ არა გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. მოსახლეობის ნუტრიციული სტატუსის შესწავლა გარკვეული პერიოდულობით უნდა ხდებოდეს, შემდეგ კრიტიკული მონაცემები უნდა ფასდებოდეს. ეს მეორე ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“.*

# იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა



ლილე ჩხეტიანი





### მზიანი და ნისლიანი დღეებით შეფერილი საუკუნოვანი სკოლის ისტორია

ხან მზიანი, ხან ნისლიანი, ხანაც თოვლიანი, დარდითა და სიხარულით სავსე დღეები გაუვლია სკოლას, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეული იყო 1987 წელი, როცა დიდთოვლობით გამოწვეული სტიქიის გამო სოფლის დიდი ნაწილი გადასახლდა და სკოლა ერთბაშად დაიცალა, განახევრდა. ძნელი გახდა კადრების მოძიება, მაგრამ ისევ გამოჩნდნენ გულანთებული ადამიანები და ნელ-ნელა სკოლა კვლავ ფეხზე დადგა, მზის სხივები აინთო დერეფნებში, ჟრიამული მოედო ფანტელებით მოფენილ ეზოს. სკოლა ფიქრობდა მომავალზე – მზიან მომავალზე და მან ბევრი საინტერესო თაობა გამოუშვა, რომელთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებამ შეიყვარა: უჩა ცინდელიანი, ლადო ქალდანი, ქიშვარდ ცინდელიანი, ნერონ ქალდანი, ქეთევან მარგიანი, სოზარ სუბარი... მეორე დიდი ტკივილი, რომელიც სკოლას თავს დაატყდა, 1993 წლის აფხაზეთის ომი იყო, გზა კოდორის უღელტეხილიდან ჭუბერზე გადმოდიოდა. დევნილი ადამიანები, გარდა ოჯახებისა, თავს აფარებდნენ ყოველ ცარიელ შენობას და სიცივისაგან თავის დასაღწევად წვავდნენ ყველაფერს, რასაც ცეცხლი ეკიდებოდა. განადგურდა სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიები, სპორტული ინვენტარი და ყველა სახის აღჭურვილობა, რაც სკოლას გააჩნდა. დარჩა მხოლოდ ცარიელი კედლები, უფანჯრო, უკარო... მდგომარეობა უმძიმესი იყო. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ჭუბერის სკოლის მასწავლებლებმა კვლავ განაგრძეს მუშაობა ამ პირობებში თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთლარიანი ხელფასით. ამას ვერ დავარქმევთ მხოლოდ ენთუზიაზმს, ეს სკოლის, ხეობის, სამშობლოს უდიდესი სიყვარულია!.. მეც სწორედ ამ დროს, სოხუმის მე-6 საშუალო სკოლიდან გადმოვედი ჭუბერის სკოლის მეოთხე კლასში, რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ხალხი უღელტეხილზე გადმოვიდოდა. ჩემ თვალწინ დაიწვა სკოლაში არსებული ყველა ნივთი და ჩემი მოსწავლეობის პერიოდშივე, პედაგოგიური კოლექტივის დიდი ძალისხმევით და სკოლისადმი საოცარი დამოკიდებულებით, აღდგა და შეიქმნა სამუშაო გარემო, განახლდა ბიბლიოთეკა. ამ კეთილგონიერმა ადამიანებმა სული შთაბერეს უსულოდ მდგარ, გაძარცვულ კედლებს, უმძიმეს პერიოდში შეძლეს კვლავ განეწყოთ ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში გაეგრძელებინათ სწავლა-განათლება, ასწავლეს და დაარწმუნეს, რომ ზრუნვა, თანადგომა, მეგობრობა და სიყვარული ის ღირებულებებია, რომლებიც არასდროს უფერულდება და ქრება.

### მეოცნებე და მოგზაურობის მოყვარული გოგონას არჩევანი

სკოლა 2000 წელს დავამთავრე და ჩემს მომავალ პროფესიად მხატვრობა ავირჩიე, მაშინ არ ვფიქრობდი მასწავლებლობის გზას თუ შევუდგებოდი. სამხატვრო აკადემიაში სწავლის ექვსმა ხალისიანმა და მრავალფეროვანმა წელმა ბევრი რამ მასწავლა და ბევრ რამეზე დამაფიქრა. ბუნებით მეოცნებე და მოგზაურობის მოყვარული დავდიოდი სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების სანახავად და სტუდენტობის პერიოდში საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოვიარე. არდადეგებზე კი სვანეთში ჩამოვდიოდი და რამდენიმე კვირის განმავლობაში ბავშვებს ხატვაში ვამეცადინებდი, ჩემს სკოლას ვსტუმრობდი და ვცდილობდი, რამით გამეხარებინა. ბევრჯერ მინატრია, სკოლის პერიოდში, ნეტავ ერთხელ მაინც შემახედა პროფესიონალი მხატვრები როგორ ხატავენ-მეთქი, მაგრამ ეს ნატვრა არ ამხდენია, სანამ სკოლა არ დავამთავრე და აკადემიის მოსამზადებელზე არ დავიწყე სიარული. ნაწილობრივ ამანაც განაპირობა, სვანეთში წამოსვლის გადაწყვეტილება რომ მივიღე, იქნებ ახლაც სურდათ მოსწავლეებს გამოეცადათ, როგორ იკვეთება ფორმები ხაზის, მონასმებისა და ფერების გათამაშებით, როგორი მრავალფეროვანი ხდება ერთი ფერის უბრალო ფურცელი, რამდენ ემოციას, სილამაზეს, ნათელ მოგონებას იტევს ერთი პატარა რვეული. 2007 წელს, როდესაც აკადემიაში სწავლის სრულ კურსს ვასრულებდი, უკვე ბევრი რამ მაფიქრებდა, რომ მომდევნო ეტაპი ჭუბერში, ჩემს ლამაზ სკოლაში მუშაობით დამეწყო. სტუდენტობის ბოლო წელს, პარალელურად, დავდიოდი სვეტიცხოვლის ხატწერის სკოლაში, სადაც ჩემი მოძღვარიც მირჩევდა, იქნებ სვანეთში წახვიდე და ცოტა ხნით იქ ასწავლოო. ვგრძნობდი, სკოლაც მეძახდა – მეუბნებოდნენ, მოხარული ვიქნებით თუ ჩვენთან ჩამოსვლას გადაწყვეტო. სკოლას ყველასათვის საყვარელი ადამიანი და მასწავლებელი ნატო სუბარი უდგას სათავეში. ის არა მარტო ჭუბერის, არამედ მთელი სვანეთის ხეობისთვის გამორჩეულად თბილი და საყვარელი, მაღალი ღირებულებების მქონე, საოცარი სიყვარულით სავსე ნატო მასწავლებელია!.. მან მასწავლა ბევრი რამ, მასწავლა რა არის უმთავრესი და უპირველესი.

### ასე მთლიანდება და იკვრება სკოლა ერთ დიდ ოჯახად

და ასე, 2007 წლის სექტემბერში, დავიწყე მუშაობა ხელოვნების მასწავლებლად. იმავე წელს ჩამოვაყალიბე დამატებითი წრეები ხატწერასა და ქარგვაში, მოგვიანებით – კალიგრაფიაში, სადაც ყველა მსურველს შეუძლია იმეცადინოს უსასყიდლოდ. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მასწავლებლის პროფესია ურთულესი და, ამავე დროს, სიხარულით სავსე იქნებოდა. ახლა უკვე შვიდი წელია ვმუშაობ. ას ოც ბავშვთან, მათ მშობლებთან და ოცამდე მასწავლებელთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის ყველაფერი იდეალურად გააკეთო, მაგრამ, პირველ რიგში, სკოლა უნდა გიყვარდეს. შეუძლებელია იყო კარგი მასწავლებელი, თუ მთელ ენერგიას არ დებ გაკვეთილში, მოსწავლესთან ურთიერთობაში. ბევრი მიმართულებით მართებს დაფიქრება სკოლაში მომუშავე ადამიანს. უნდა შეგეძლოს იყო პირველკლასელიც, მეცხრეც და მეთორმეტეც, უნდა შეგეძლოს უთხრა პატარებს – მართლა? რა კარგია! ან – ვწუხვარ, მაპატიე... მათი სიხარულისა და დარდის გაზიარება ხომ უამრავჯერ მოგიწევს და მეტიც, ის შენს დარდად და სიხარულად იქცევა, ასე მთლიანდება და იკვრება სკოლა ერთ დიდ ოჯახად, რომლის კეთილდღეობის წარმართვაში უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრია შენ – მასწავლებელს. და სწორედ აქ უნდა გამოიჩინო გონიერება და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროფესიის ცოდნა და უნარი.

### მაღალმთიანი რეგიონის სკოლის თანმდევი პრობლემები

ჭუბერის სკოლა ცდილობს ფეხი აუბას განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, შეძლებისდაგვარად მონაწილეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა თუ გადამზადებაში. დღეს სკოლაში ოთხი სერტიფიცირებული მასწავლებელია, ორს ჩაბარებული აქვს საგნობრივი გამოცდა, ოთხი მასწავლებელი დარეგისტრირებულია წლევანდელ გამოცდებზე.

ადამიანი, რომელსაც აღმზრდელობითი მისია აკისრია, სასურველია იყოს თავისუფალი სხვა მოვალეობებისგან, თუმცა, ეს დღევანდელ რეალობაში თითქმის შეუძლებელია. ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა დააყენოს საკითხი და მასწავლებლის პროფესია მაღალანაზღაურებადი გახადოს იმდენად, რომ სკოლაში მომუშავე პერსონალს დამატებითი სამუშაოს შესრულება არ უწევდეს რაიმე სხვა სფეროში. მაგალითად, მთის სკოლაში მომუშავე მასწავლებლისთვის რთულია, საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის პარალელურად, გაუძღვეს მეურნეობას, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ამის გაკეთება უწევს, რომ ოჯახის რჩენისთვის საკმარისი წყარო შეაკოწიწოს. ეს სირთულეები დასაძლევია. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პროფესიული განვითარებისა და წინსვლისათვის დაუბრკოლებლად ჩაერთოს სხვადასხვა პროექტებში.

მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად სირთულეს წარმოადგენს მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში. მთის მომხიბვლელობას ერთგვარი სიმძიმეც ახლავს და ნოემბრიდან მარტის ბოლომდე გაჭიმული ზამთრის პირობებში გზაზე გასვლა საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე აყენებს სკოლას. ჭუბერი რაიონულ ცენტრთან 76 კილომეტრითაა დაშორებული. გვახსოვს საგნობრივი ოლიმპიადების მეორე ტურში გადასული მოსწავლეების ნაღვლიანი სახეები, როცა მათი ტრანსპორტირება მესტიამდე სრული რისკის ქვეშ დგება და მომდევნო ეტაპში მონაწილეობას მკაცრი ზამთარი აფერხებს.

და მაინც, დარდს ისევ სიხარული ცვლის, ისევ ჟრიამული და დღეების გაფერადება. ხან აბიტურიენტების დადებითი შედეგები, ხან სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული მონაწილეების მხიარული სახეები, ხანაც შემოქმედებითი ღონისძიებების მონაწილეთა ანთებული თვალები და აღტაცებით მონათხრობი შთაბეჭდილება...

### შემოქმედებით ჩარჩოებში მოქცეული პროექტები

არასოდეს დამავიწყდება ის ხალისიანი დღეები (2011წ.), როდესაც, ctc-ის მხარდაჭერით, პირველად განვახორციელეთ შემოქმედებითი პროექტები. მოვხატეთ საბავშვო ბაღის ინტერიერი და მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. რა თქმა უნდა, უსაზღვროდ მიხაროდა, რადგან როცა სკოლაში ჩამოვედი, ბავშვების უმეტესობა ამბობდა, რომ ისინი საერთოდ არ ხატავდნენ. 2010 წლიდან სკოლა წარმატებით მონაწილეობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ, მთელი საქართველოს მასშტაბით, გამართულ კონკურსში – ქართული კალიგრაფია, რომლის გამარჯვებული თავადაც გახლავართ კატეგორიაში – ზრდასრული დაინტერესებული პირები, ასევე 2011 წელს გავხდი საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის წევრი. 2014 წლის 5 მაისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, სკოლაში გაიხსნა კალიგრაფიული სტუდია, რამაც დიდი სიხარული მოუტანა ყველა მოსწავლეს და თითოეულ ჩვენგანს. სტუდიის პრეზენტაციაზე გვეწვივნენ სასიხარულო და პატივსაცემი სტუმრები: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ბატონი ზურა კუდავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ელენე მაჭავარიანი, ცენტრის თანამშრომლები, ახალგაზრდა კალიგრაფები, მესტიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები.

ასე გავიდა შვიდი წელი, მიხარია, რომ მართლა აღმოჩნდნენ მოსწავლეთა შორის ისეთები, რომლებსაც აინტერესებთ, როგორ იკვეთება ფორმები ხაზის, მონასმებისა და ფერების გათამაშებით, უმეტესად – ალბათ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე – მთიანი პეიზაჟები ექცევა შემოქმედებით ჩარჩოებში, ზოგჯერ მზით გაჯერებული, ზოგჯერ ნისლით, ხანაც ზღაპრების თეთრი კვამლით...

### გაბრიელა მისტრალისეული „მასწავლებელი“

წლების წინ დიდი ჩილელი მწერლის – გაბრიელა მისტრალის სიტყვები რომ წავიკითხე, შთაბეჭდილებისგან დიდხანს ხმაამოუღებლად ვიჯექი. ეს იყო და არის ჩემთვის მასწავლებელი:

*1. გიყვარდეს მთელი გულით და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს.*
*2. ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე, რომ მთავარი არ გაგეფანტოს.*
*3. გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევ სრულყოფილებას.*
*4. ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი.*
*5. იყავი გულანთებული, ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.*
*6. სული შთაბერე, გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით.*
*7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე, რომ გასცე, უნდა გქონდეს.*
*8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა.*
*9. ყოველ დღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.*
*10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.*

**მოამზადა ლალი ჯელაძემ**

თვალსაზრისი

# ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში



ასმათ შამუგია
*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

უკვე რამდენიმე წელია მუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, თუმცა სასურველ და საბოლოო შედეგამდე ჯერ კიდევ ვერ მივედით. სქემის განხორციელება დროში ისე გაიწელა, რომ ძველი თაობის პედაგოგებისთვის იგი, ალბათ, ერთგვარ „უკან მიდევნებულ ლამპრად“ გადაიქცევა.

პროფესიით ეკონომისტი ვარ, რამდენიმე წელია სკოლაში პეგაგოგად ვმუშაობ. საკუთარ მხრებზე გამოვცადე მასწავლებლის შრომის სიმძიმე, ალბათ, ამიტომაც იქცა ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემად **„ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“.**

ჩემ მიერ ჩატარებულია სასკოლო დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგების შრომის ანაზღაურების მოქმედი სქემის შედარებითი ანალიზი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოში. გამოიკვეთა, რომ რუსეთის ფედერაციაში პედაგოგების ხელფასის ორიენტირს ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონე წარმოადგენს, ხოლო საქართველოში – საარსებო მინიმუმი. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ფედერაციაში საერთოდ არ ენიჭება მნიშვნელობა მასწავლებლის სამუშაო გამოცდილებას (სტაჟს). რუსულ მოდელში გათვალისწინებულია კლასში მოსწავლეების რაოდენობა, ხოლო ქართულში სამუშაო დატვირთვის კოეფიციენტი, მოსწავლეების რაოდენობის მიუხედავად, 0,15 შეადგენს.

განათლების სისტემის რეფორმირების (მოიცავს 1995-2013 წლებს) ყველაზე სუსტი პოზიცია ისაა, რომ მასში პრაქტიკულად ვერ აისახა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პედაგოგების შრომის ანაზღაურების პრობლემა, რაც სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია. მასწავლებელი სასკოლო განათლების რეფორმის წარმატების საფუძველია და თუ მას არ ექნა შრომის მოცულობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურება, შეუძლებელია ვისაუბროთ მთლიანად სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

რეფორმირების პროცესში ყურადღების მიღმაა დარჩენილი პედაგოგების მართვის მთლიანი ჯაჭვის გარკვეული რგოლები, დაწყებული საუნივერსიტეტო მომზადებით და დამთავრებული მათი როტაციით. განსაკუთრებით საგანგაშოა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების პრობლემა.

კვლევის შედეგების ანალიზმა, შეფასებამ და განზოგადებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში პედაგოგიური საქმიანობის მატერიალური და სხვა ფორმის წახალისების ძირეული გარდაქმნაა აუცილებელი, რაც, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

ა) მასწავლებლის შრომის ანაზღაურების საბაზისო მინიმუმის დადგენა, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბებული საშუალო ხელფასის სიდიდიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს და მისი მოცულობა არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ევროპაშია (45%-დან 60-65%-მდე);

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში აუცილებელია შემუშავდეს დასაქმებული პედაგოგის მიერ შესასრულებელი სამუშაოების საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის გადახედვა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაინცაა საჭირო. თითოეულ სასკოლო დაწესებულებას საჭიროა შედგენილი ჰქონდეს საორიენტაციო პროფესიოგრამა, რომელიც მაქსიმალური შესაძლებლობებით აღწერს თანამედროვე ეპოქის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს დიფერენცირებული სკალით. პროფესიოგრამა პედაგოგიური საქმიანობის პირობებს ასახავს, შესაბამისი სატარიფო კოეფიციენტებისა და განაკვეთების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის.

ზემოაღნიშნული ჩარჩო-დებულების ფორმირება უნდა მოიცავდეს რამდენიმე ეტაპს: **პირველი**, შესაბამისი განათლების მიღების მსურველების წახალისების სისტემა – სახელმწიფოს მხრიდან პედაგოგიური პროფილის სტუდენტებისთვის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სრული დაფინანსება, სახელმწიფო შეკვეთების წესით. შრომის ანაზღაურების საბაზისო დონის განსაზღვრა ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ან საჯარო სტრუქტურებში დასაქმებული მუშაკების საშუალო ხელფასის სიდიდეებს უნდა ითვალისწინებდეს.

**მეორე** – საჭიროა გადაიხედოს საბაზისო სატარიფო სისტემა, რომ სრული დატვირთვის მქონე პედაგოგს მიეცეს შესაძლებლობა, მთელი მისი საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო შრომით დაიკმაყოფილოს პირველადი მოთხოვნილებები; **მესამე** – ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საპენსიო ასაკის პედაგოგების პენსიაზე გასვლის წახალისება, რაც ასეთი კატეგორიის პედაგოგებზე საჯარო მოხელის პენსიის შესახებ დებულების გავრცელებას გულისხმობს. ეს მიდგომა მასწავლებლების ჯანმრთელ როტაციას შეუწყობს ხელს.

საბოლოოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ვიღებთ პედაგოგების ეფექტიანი მართვის ინოვაციურ და ერთიან მოდელს. მის ფორმირებაში გამოცდილი მასწავლებლების, განათლების სისტემაში ჩახედული სპეციალისტების, განათლების სისტემის მმართველი რგოლების ჩართვას, აგრეთვე სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის აქტიურ კონსულტაციებსა და კოორდინაციას. რასაკვირველია, გაიზრდება საზოგადოების მიერ განმანათლებლის კვალიფიკაციაზე მოთხოვნა. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მასწავლებლის სპეციალობის მიღების მსურველთა რაოდენობა და პედაგოგების შერჩევის ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნება, რადგან განმანათლებლების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი უშუალოდ მასწავლებლის სპეციალობის მსურველის ან დასაქმებული პედაგოგის პირად კომპეტენციებში გადაინაცვლებს, ხოლო სახელმწიფოს ზრუნვის საგნად მხოლოდ მაკონტროლებელი ფუნქციის გაწევა და შესაბამისი გარემოს შექმნა დარჩება.

**განათლების სისტემის რეფორმირების (მოიცავს 1995-2013 წლებს) ყველაზე სუსტი პოზიცია ისაა, რომ მასში პრაქტიკულად ვერ აისახა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პედაგოგების შრომის ანაზღაურების პრობლემა.**

ზემოთ აღწერილი მიმართულებების განხორციელებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია განმანათლებლების მატერიალური წახალისების შიდასასკოლო ფორმების განვითარება, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის მიერ უნდა იმართებოდეს.

ამ ასპექტის კვლევამ საშუალება მოგვცა, ჩამოგვეყალიბებინა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური რეკომენდაციები, ისე პრაქტიკული დასკვნები:

❖ აუცილებელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჰქონდეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელმაც ასახვა უნდა ჰპოვოს შესაბამის კონცეფციაში. მასში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს უმნიშვნელოვანეს ელემენტს – ადამიანურ ფაქტორს, რაც მოქმედ ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტებში არ არის ასახული. საჭიროა, შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, იქმნებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სახელმძღვანელო ჩარჩოდებულება, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ სასკოლო ორგანიზაციების მენეჯერები, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, არეგულირებდნენ პედაგოგთა მატერიალური სტიმულირების დიფერენცირების ფორმებსა და მეთოდებს;

❖ საბაზრო ურთიერთობების პირობებში, როცა ძლიერდება მოსახლეობის ლტოლვა ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდისკენ, სასკოლო განათლების სისტემისადმი პროფესიული ინტერესების ასამაღლებლად, მატერიალური სტიმულირების ისეთი კონცეფცია უნდა შემუშავდეს, რომელშიც პედაგოგობის მსურველი საკუთარ პერსპექტივას დაინახავს და მას თავის სამომავლო საქმიანობას დაუკავშირებს;

❖ პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმასთან, თუ გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ როგორ გაუმჯობესდება მისი მატერიალური და კარიერული მდგომარეობა. სხვა შემთხვევაში, პროფესიულმა თვითგანვითარებამ შეიძლება მხოლოდ ფორმალური სახე მიიღოს და არანაირი დადებითი გავლენა არ მოახდინოს სასკოლო განათლების ხარისხის ამაღლებაზე;

❖ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიღმა დარჩა აღნიშნული სფეროს ცენტრალური ფიგურა – პედაგოგი, მისი სამოტივაციო მექანიზმი, მატერიალურ ანაზღაურებაში შრომის მოცულობისა და ხარისხის გათვალისწინება ისე, როგორც ეს განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სასკოლო განათლების სისტემაშია მიღებული; ცენტრალური ხელისუფლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არც ერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო ოფიციალურ დოკუმენტში არაა ასახული პედაგოგების ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, არ არსებობს შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელი პარამეტრების ამსახველი დოკუმენტაცია. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აკნინებს და აფერხებს რეფორმირების პროცესს, რადგან მასწავლებლები ვერ ხედავენ ტენდენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ პროფესიულ დახელოვნებას;

❖ საჭიროა პედაგოგების კატეგორიების მიხედვით დაყოფა (სკალირება). ამ კატეგორიის მიხედვით ხელფასის გაანგარიშების საფუძველი იქნება სატარიფო საკვალიფიკაციო ცნობარი, სატარიფო კოეფიციენტი და შესაბამისი სატარიფო განაკვეთი. განმანათლებლებისთვის კატეგორიების მინიჭება ცოდნის, უნარ-ჩვევების, ყოველი მასწავლებლის შემოქმედებითი აზროვნებისა და საქმიანობის ხარისხის შეფასების მიხედვით უნდა ხდებოდეს. საჭიროა დამკვიდრდეს თანრიგების მინიჭების წესი, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს შესაბამისი კოეფიციენტი. აქედან გამომდინარე, თითოეული თანრიგის თანამშრომლისთვის საბაზისო ხელფასი მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთვის მიკუთვნებულ კოეფიციენტზე უნდა გადამრავლდეს. ქვეყანაში უნდა რსებობდეს მკაცრი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც უნდა შექმნას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, შესაბამისი დარგობრივი პროფესიული კავშირებისა და განათლების სისტემის სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით. ქვეყანაში მასწავლებლების შრომის ანაზღაურების მოქმედი დებულება ხელფასის ტარიფიკაციას უნდა ითვალისწინებდეს. პედაგოგების შრომის ანაზღაურების სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს ცოდნა, უნარ-ჩვევები და პედაგოგიური მეცნიერების ახალი მიღწევები;

❖ ისე, როგორც ეს მიღებულია ევროპისა და გარდამავალი ეკონომიკის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც სკოლების 70-75%-ის მართვა მუნიციპალიტეტების კომპეტენციებშია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს სასკოლო დაწესებულებების მმართველობაზე უშუალო პასუხისმგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეკისროს;

❖ პედაგოგიური სპეციალობის წახალისება ქვეყნის საგანმანათლებლო უწყების მიერ შემუშავებული სასკოლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს სტიმულირების ციკლს: **პირველი**, აბიტურიენტის წახალისება, რომ მან მიიღოს პედაგოგიური განათლება (სახელმწიფოს მიერ მისი დაფინანსება); **მეორე**, გადაიხედოს სატარიფო განაკვეთები – დამწყები პედაგოგის საბაზო ხელფასი სტიმული უნდა იყოს პედაგოგიური სპეციალობის არჩევისას; **მესამე**, სასკოლო დაწესებულებაში მუშაობის სურვილი; **მეოთხე**, უნდა იყოს ქმედითი წახალისება პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე; **მეხუთე**, პედაგოგის სპეციალობა უნდა გაუთანაბრდეს საჯარო მოხელის სტატუსს შესაბამისი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით ისე, როგორც ეს მსოფლიოს რიგ განვითარებულ ქვეყნებშია. აქედან გამომდინარე, საჭიროა, დასაქმებულ პედაგოგებს მიენიჭოთ საჯარო მოხელის სტატუსი ყველა სოციალური სიკეთის გამოყენების უფლებით;

**საჭიროა, დასაქმებულ პედაგოგებს მიენიჭოთ საჯარო მოხელის სტატუსი ყველა სოციალური სიკეთის გამოყენების უფლებით.**

❖ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგების შრომის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომელიც, თავის მხრივ, დროის შესაბამის მოთხოვნებსა და პედაგოგების კვალიფიკაციას უნდა მოიცავდეს;

❖ შესაძლებელია ეკონომიკური ბერკეტებით წავახალისოთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული მასწავლებლები. მაგალითად, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო პედაგოგებს მოუხსნის საშემოსავლო გადასახადს, რაც მატერიალურთან ერთად, მორალური სტიმულიც იქნება;

❖ ხელფასის გაანგარიშებისას, აუცილებლად უნდა არსებობდეს დიფერენცირება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მიხედვით. სამწუხაროდ, პედაგოგები საფეხურის მიხედვით განსხვავებულ სარგოს არ იღებენ, რაც, ვფიქრობთ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს პედაგოგთა შრომის ანაზღაურების სქემაში. არგუმენტად იმ ფაქტს ვასახელებთ, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგმა, შესაძლებელია, ერთხელ ახსნით ძალიან მარტივად გააგებინოს გაკვეთილის არსი მოსწავლეს, ხოლო პირველკლასელთან (ვგულისხმობთ დაწყებით საფეხურს) გაცილებით მეტი შრომა დასჭირდეს.

დაბოლოს, პედაგოგის სტატუსის ამაღლების მიზნით, აუცილებელია მათი პროფესიული საქმიანობისა და შრომის შესაბამისი ანაზღაურების ამსახველი პროფესიოგრამის სქემის შემუშავება. ეს ხელს შეუწყობს პედაგოგების მატერიალური სტიმულირების სრულყოფას, უზრუნველყოფს არა მარტო მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მუდმივ ლტოლვას, რაც სასარგებლო იქნება პედაგოგისთვის, სასკოლო დაწესებულებისა და სახელმწიფოსთვის. სასკოლო დაწესებულების მენეჯმენტს უნდა მიეცეს საშუალება, თვითონ შეაფასოს პედაგოგის პროფესიული შესაძლებლობები და შრომის ხარისხი, სახელმძღვანელოდ მიღებული საგანმანათლებლო სტანდარტების მეშვეობით, დაადგინოს ასევე კატეგორიები, რომლებიც თანამედროვე პედაგოგებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას (პროფესიოგრამა) ასახავს.

ქართული როგორც მეორე ენა

# ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები



ცხოვრება წიგნის ფურცლებივითაა, ისე სწრაფად იშლება, რომ წაკითხვასაც ვერ ვასწრებ... ვკითხულობ და თვალზე ცრემლი მადგება, რადგან ბევრი დაჭმუჭნილი და ჩაკეცილი ფურცლები მხვდება, თუმცა ვაგრძელებ კითხვას და უცებ სასიამოვნო გრძნობა მეუფლება, ყველაფერს შეუძლია ყველაფრის შეცვლა. ისე მივეტანე ფურცელსა და კალამს, როგორც პირგამშრალი კაცი წყლით სავსე ბოთლს. მე არ ვიცი, საიდან და როგორ დავიწყო, თუმცა ჩემთვის ისიც ძნელია, რომ ამაზე არ დავწერო.

საქართველო ხომ პატარა ქვეყანაა, მაგრამ ამ პატარა ბუდეში დიდი სიყვარულის მარცვალია, რომელიც ყველა ეროვნების სიყვარულს იტევს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქე და თანაზიარნი არიან. საუკუნეებია მათ ფესვი გაიდგეს საქართველოში, მაგრამ ნელ-ნელა „პოტენციურ ემიგრანტებად“ იქცნენ. შეუძლებელია ჰარმონიულად იცხოვრო იმ ქვეყანაში, რომლის ენაც არ გესმის. სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა მსგავსი პროგრამები – „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, რომლებიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების ქართულ გარემოსთან და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. მე ამაყი ვარ, რომ ამ პროექტის მონაწილე გავხდი. უკვე მესამე წელია, ვმუშაობ პროგრამით „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირკენდის №1 საჯარო სკოლაში მოხალისე მასწავლებლად. ამ სამმა წელმა ბევრი ცხოვრებისეული გამოცდილება შემძინა, მივხვდი, რომ სიყვარულით გაკეთებული საქმე ყველგან დაიდებს თავის ბუდეს, რომელიც ნაპერწკალივით ციმციმებს და კვალს ტოვებს ყველგან. მივხვდი, რომ თუ არ იბრძოლე, თუ იმედგაცრუებას შეუშინდი, წინ ვერ წახვალ... ძალიან საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, სასიამოვნო საქმეა, ბავშვების სიყვარულს ხომ ყველაზე დიდი ძალა აქვს, ამიტომაც შეუძლებელი არაფერია.

აქ ხომ სულ სხვა სამყაროა, სხვა გარემო. მახსოვს, რომ ჩამოვედი, სრულიად არ იგრძნობოდა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ვიმყოფებოდი, იმის მიზეზს ვერ ხედავდნენ, რატომ ან რისთვის უნდა ესწავლათ ქართული ენა, მაგრამ თითქოს გადატრიალება მოხდა, ამაღლდა მოტივაცია, უკვე ქართულად ამეტყველებული, ამღერებული და აცეკვებული ბავშვებით აივსო იქაურობა. როგორ შევძელით ეგ ყველაფერი? პასუხი მარტივია, მათ დაინახეს, მიხვდნენ, გაეხარდათ, ეტკინათ კიდევაც, თუ ეს ყველაფერი აჩვენეთ და აგრძნობინეთ, ჩათვალეთ, რომ სწორ გზაზე დგახართ...

მინდა ერთი ისტორია მოგიყვეთ, რომელიც ძალიან ემოციური იყო ყველა ჩვენგანისთვის. გავაკეთეთ პროექტი „ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები“, რითაც დავეხმარეთ ერთ-ერთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს. არ დავიწყებ იმის მოყოლას, როგორ და რანაირად, მაგრამ არსებობენ კეთილი ადამიანები და ბავშვები, რომლებიც დაუღალავად და ხმაურის გარეშე აკეთებენ იმ სიკეთეს, რასაც სიყვარული და თანადგომა ჰქვია. აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან ერთად ვეწვიეთ ერთ-ერთ სახლს, რითაც ლამაზი და ბედნიერი დღე ვაჩუქეთ ჩვენს პატარა მეგობრებს. თავიდან, როცა ამ სახლს მივუახლოვდით და კარი შევაღეთ, სამარისებური სიჩუმე სუფევდა, შიშმა შემიპყრო, ვიფიქრე, ნუთუ ესეც შესაძლებელია, რომ ამ პატარების გულშიც სევდის ადგილი იყოს-მეთქი. თუმცა ეს სიჩუმე კარგმა განწყობამ შეცვალა. სასტვენი ბუშტებით, ჟრიამულითა და ხმაურით შევაღეთ კარი, რითაც მეგობრობის ხელი გავუწოდეთ მათ პაწაწინა ხელებს. შეუძლებელია ცრემლი არ მოგადგეს ადამიანს, როცა ხედავ, როგორ იხუტებს ერთი მეორეს, პირველი – რომელთაც პირველად შეიგრძნეს თანადგომისა და სიყვარულის გაცემის მნიშვნელობა, მეორე კი – დასევდიანებული ბავშვები, რომელთაც მზრუნველობა და თანადგომა სჭირდებათ. არ შემიძლია არ აღვნიშნო აღმზრდელების დამოკიდებულება ამ ბავშვების მიმართ, ეს დედა-შვილურ ურთიერთობას უფრო წააგავდა – როცა პატარა გულში გიხუტებს, როცა შენგან იმ სითბოს ელოდება, რაც აკლია, შეუძლებელია საკუთარი შვილივით არ გიყვარდეს. ყველა მათგანის ოცნება ხომ ისაა, რომ საკუთარი მშობლების გვერდით იყვნენ, არცერთი მათგანი ამის იმედს არ კარგავს. იმედი ბოლოს კვდებაო, მაგრამ მათი იმედის დასასრული არ არსებობს და სწორედ ეგ აძლიერებს მათ იქ ყოფნას. ყველა მათგანის სურვილი მოვისმინე და საოცარი პასუხები მივიღე – 5 წლის ლიკამ, რომლის თვალებიდან უდიდესი სევდის კვალი ჩანდა, ასე მითხრა: „მინდა ტელეფონი მქონდეს, მაგრამ არა სათამაშო, შენ რომ გაქვს ისეთი“. ერთი კი, რომელიც ნაღვლიანად იჯდა განცალკევებით, უცებ გულახდილად ალაპარაკდა: „მე მინდა მამა ჩამოვიდეს, ღამე ისე გაიპარა, რომ არ დაგვემშვიდობა, მაგრამ მე მაინც ველოდები“, ეს თქვა თუ არა, თვალები ცრემლებით აევსო... ეკას კი თურმე ბერა უყვარს, მთელი დღე უსმენს მის სიმღერებს და ცეკვავს, ამჯერად ჩვენი დაყოლიებაც არ გაუჭირდა, ყველა აგვაცეკვა, აგვამღერა... ამასობაში ჩვენი წასვლის დროც მოვიდა. ჟრიამული და მხიარულება ისევ სამარისებურმა სიჩუმემ შეცვალა. ერთი მათგანი მომიახლოვდა, მივხვდი, რომ მუჭაში რაღაცას მალავდა, თან ნერვიულად ათამაშებდა ხელის თითებს, მკითხა: „ისევ მოხვალთ ჩვენთან?“ პასუხის გაცემაც არ დამაცადა, თქვა თუ არა, უცებ თავისი ხელის გულიდან ნაძვის ხის პატარა სუვენირი ჩემს ხელის გულზე გადმოანაცვლა... შევკრთი, ალბათ, იფიქრა რომ ამით ჩვენი იქ დაბრუნების გარანტიას მიიღებდა... ისე იკრავდნენ გულში ერთმანეთს, რომ ამან შეუძლებელია კვალი არ დატოვოს მათ ცხოვრებაში. ეს მხოლოდ ინტეგრაცია კი არა, უფრო დიდი რამ იყო, ეს იყო სიყვარული, ემოცია, რომლის გარეშე არსებობა შეუძლებელია. არ მინდა ვინმე მხოლოდ არსებობისთვის სუნთქავდეს, მინდა ლამაზი დედამიწა, ბავშვების მხიარული თვალები ვიხილო და იმ კეთილი ადამიანებისა, რომლებიც ალამაზებენ ამ ხანმოკლე წუთისოფელს...







# ერთი დღე ჯარისკაცებთან



მშვენიერი გაზაფხულიც თითქმის მიიწურა, ჩვენი მრავალი პროექტის განხორციელების შემდეგ, მოსწავლეების ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა, შეეჩვივნენ იმას, რომ ყოველ კვირა ახალი პროექტებისთვის მზადება უწევთ, ეს მათთვის უკვე ჩვეულებრივი ცხოვრების წესი გახდა. ჩვენ კი, სამი აქტიური მასწავლებელი, მხარს ვუჭერთ მათ ყოველდღიურ აქტივობას, ასეც უნდა იყოს, როცა სახელმწიფო საქმეს აკეთებ, ძირფესვიანად უნდა იყო მასში ჩაფლული, უფრო მეტიც, მასწავლებლობასთან ერთად გვევალება ვიყოთ ამტანიც და გამტანიც... ამჯერად ჩვენი ექსკურსიის მარშრუტი არის შემდეგი: გორის მე-5 ქვეითი ბრიგადის, ეროვნული აკადემიისა და უფლისციხის დათვალიერება. ბავშვები იმდენად დაინტერესდნენ და იმდენი მსურველი აღმოჩნდა, რომ „მარშრუტკაში“ ადგილი არ გვეყო და სამ-სამად დასხდნენ. არა უშავს, ესეც ავიტანეთ, იქ, სადაც გული გულობს, ყველაფერი შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ნორმის ფარგლებში.

პირველად, ორსაათიანი მანძილის გავლის შემდეგ, ვეწვიეთ გორის შეიარაღებული ძალების მე-5 ქვეით ბრიგადას, სადაც ჯარისკაცები ცხოვრობენ და მსახურობენ. ჯარისკაცის პროფესია საპატიო, მაგრამ სახიფათოა, მუდამ თავდადებასა და თავგანწირვას მოითხოვს. ისინი დარაჯობენ მიწას და იცავენ საქართველოს მომავალს. ყოველ მათგანს ამაყად უჭირავს თავი, ატარებენ სამხედრო ტანისამოსს, რომელიც მათი თავდადებისა და ვაჟკაცობის სიმბოლოა. ისინი ხომ თითქმის ყოველ დღე უყურებენ სიკვდილს თვალებში, მათი ვალია, დაიცვან და გაამთლიანონ სამშობლო, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ ეს ყველაფერი...

დაღუპული გმირების მემორიალთან შევჩერდით, სადაც ჩვენი სკოლის ერთ-ერთმა აქტიურმა მერვეკლასელმა, **გუნაი ბაქიროვამ**, მათ პატივსაცემად, წაიკითხა ლადო ასათიანის ლექსი „საქართველოში“. ბრიგადის შტაბის უფროსმა, ბატონმა **ხვიჩა კალანდაძემ** ემოციები ვერ დამალა და გოგონას გადაეხვია. როცა აზერბაიჯანელი ასეთი ემოციით კითხულობს ლექსს, ჟრუანტელი დაგივლის მთელ სხეულში... დავათვალიერეთ საბრძოლო იარაღები, ბოლოს სადილით გაგვიმასპინძლდნენ. გაცნობითი შეხვედრა მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა და კმაყოფილებმა დავტოვეთ მე-5 ქვეითი ბრიგადის ტერიტორია.

შემდეგ ვესტუმრეთ ეროვნული თავდაცვის აკადემიას, სადაც ძირფესვიანად დავათვალიერეთ ინფრასტრუქტურა. სასწავლო ბატალიონის მეთაურმა, ლეიტენანტმა **ლაშა ოდილავაძემ** მოსწავლეებს აკადემიის საქმიანობა გააცნო, ისაუბრა აკადემიაში მიღების, სტიპენდიის, გაცვლითი პროგრამებისა და კონტრაქტის პირობების შესახებ. გავიცანით, აგრეთვე, საბაკალავრო სკოლის მეორე კურსის იუნკრები, დავათვალიერეთ ყაზარმები, შემდეგ კი აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს შევხვდით. ეს ყველაზე ემოციური იყო მათთვის და ჩემთვისაც, პირადად მე თითოეული მათგანი მეამაყება, ვინაიდან თავიანთი ნებით ემსახურებიან საქართველოს, მზად არიან ქართული ჯარის მხარდამხარ იარონ, ძალა ხომ ერთობაშია, ისინიც აძლიერებენ ერთმანეთს, ერთნაირად სტკივათ და უხარიათ ქვეყნის საქმე. ჯარისკაცები მოსწავლეებს გამოელაპარაკნენ და მოუწოდეს ბავშვებს, აუცილებლად შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს წარმატებულ მოქალაქეებად რომ ჩამოყალიბდნენ. ჩვენი სკოლის რამდენიმე ბიჭმა აკადემიაში ჩაბარების სურვილი გამოთქვა. მინდა აღვნიშნო, რომ იქ არა მხოლოდ კაცები, არამედ ქალებიც მსახურობენ, რაც იმას მოწმობს, რომ მდედრობითმა სქესმა, დედობისა და ოჯახის დიასახლისობის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა, რომელიც სამშობლოს დაცვას ითვალისწინებს... ისინი ისეთივე კარგი მებრძოლები არიან, როგორც კაცი ჯარისკაცები. ეროვნულ აკადემიასა და იქ მყოფ თანამემამულეებსაც დავემშვიდობეთ და წავედით უფლისციხეში, კლდეში ნაკვეთ ულამაზეს ქალაქში.



ეს არ იყო უბრალოდ ექსკურსია – მხოლოდ ღირსშესანიშნაობების გაცნობა, ამ დღემ მოსწავლეებში საკუთარი ქვეყნის სიყვარულისა და მოვლის სურვილი გააჩინა. მსგავსი ღონისძიებები მოზარდებს კრეატიულ აზროვნებასა და უნარ-ჩვევებს უყალიბებს, მაგალითად ერთ-ერთმა მოსწავლემ, გუნაი ბაქიროვამ, სამხედრო ნაწილის დათვალიერების შემდეგ, აღფრთოვანებულმა, ქართულ ჯარში სამსახურის გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ კი მზად ვართ, დავეხმაროთ ამ ოცნების განხორციელებაში და ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ.

სალომე ქირია
*მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირკენდის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

# გზა საბოლოო მიზნამდე

ანა ფირცხალაიშვილი

ჩვენი გაზეთის მკითხველებს უკვე გააცნო საკუთარი თავი პროექტის – ქართული როგორც მეორე ენა – მონაწილე რამდენიმე პედაგოგმა. საგაზეთო წერილებიდანაც კარგად ჩანს ამ დიდი, საქვეყნო საქმისადმი მათი დამოკიდებულება, პროფესიონალიზმი და ის ენთუზიაზმი, რომლის გარეშეც კიდევ უფრო გაძნელდებოდა ოჯახებიდან მოშორებით წლობით ცხოვრება. უკვე უცხო აღარ არის მათთვის არც ჯავახეთი და არც ქვემო ქართლი, მაგრამ საბოლოო მიზნამდე ჯერ კიდევ შორსაა, იქაურ არაქართველ მოსახლეობას კვლავაც სჭირდება ქართული სახელმწიფოს თანადგომა, რათა თითოეულმა მათგანმა ამ ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ იგრძნოს თავი. საბედნიეროდ, ასეთი თაობა უკვე იზრდება მარნეულში, ნინოწმინდაში, ახალქალაქსა და ახალციხეში, გარდაბანში, ბოლნისში... ამაში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისა და პროექტის მონაწილეთა ერთობლივმა ღონისძიებამაც დამარწმუნა.

პროექტის მხრიდან მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზატორი ჩვენთვის კარგად ნაცნობი, ახალქალაქის რაიონის, სოფელ ალასტანის ქართული ენის პედაგოგი **ინგა ბაგრატიონი** იყო. მისი კოლეგები – ნინოწმინდიდან, მარნეულიდან, საგარეჯოდან, მოსწავლეებთან ერთად, სასახლის კაბინეტებს ათვალიერებდნენ, დარბაზში სტუმარი ბავშვების ნახატები იყო გამოფენილი. *„შემოქმედებითი და საგნობრივი კონფერენციები მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ტრადიციული ღონისძიებაა. მასში ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა წარმოაჩენს საკუთარ ცოდნასა და შესაძლებლობას. ჩავთვალე, რომ უკვე ჩვენი სკოლების უფროსკლასელებსაც შეუძლიათ თავის გამოჩენა – საკუთარი ნააზრევის ზეპირად და წერილობით გადმოცემა, მით უმეტეს, რომ ადგილობრივ დონეზე მათ ამის გამოცდილება აქვთ, სხვადასხვა პროექტებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობით“* – გვითხრა ქალბატონმა ინგამ, რომლის მოსწავლეებმაც საკუთარი თემები იმდღევანდელ კონფერენციაზეც წაიკითხეს.

მოსწავლეთა ნახატების შესახებ **ნათია მანიამ** გვიამბო. გამოფენის ორგანიზატორი სადახლოს №2 სკოლის დამხმარე მასწავლებელი **ლაშა ნინიაშვილია**. მის ინიციატივას 38 სკოლის 150-ზე მეტი აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსწავლე გამოეხმაურა, რა თქმა უნდა, ქართველებიც. „ჩემი საქართველო“ – ასეთი იყო გამოფენის თემატიკა. ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს იმ ერთიანობის განცდა, რომელიც ნახატების ავტორებს საკუთარ ქვეყანასთან აკავშირებთ – სამების ტაძარი, სვეტიცხოველი, ზოგადად ეკლესიები, მეჩეთები, მოლები და მღვდლები, ქვეყნების სიმბოლიკები. *„ერთი სომეხი მოსწავლის ნახატში აღმოვაჩინე ბორჯღალი, ჩემი საყვარელი სიმბოლო, რომელიც წმინდა ქართული მეგონა ყოველთვის. აღმოჩნდა, სომხებისაც ყოფილა. მათ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას სიმბოლოდ სწორედ ბორჯღალი აქვს აღებული. ამ გამოფენის მოწყობა მარტო იმიტომ ღირდა, რომ მეთორმეტეკლასელი ელშან ბაირამოვი აღმოვაჩინეთ. შთამბეჭდავი ნახატები აქვს და, რაც მთავარია, ფერწერა დამოუკიდებლად ისწავლა, ფუნჯებს თავად ამზადებს, საღებავებად კი იყენებს ყველაფერს, რაც მის გარშემოა, ფეხსაცმლის საწმენდი „მაზით“ დაწყებული კბილის პასტით დამთავრებული. აქ მხოლოდ რამდენიმე ნახატი გვაქვს ჩამოტანილი“* – ამბობს ქალბატონი ნათია. ამ ნახატების ავტორიც გავიცანით. მან წელს წარმატებით დაამთავრა შულავერის №1 ქართული სკოლა, სადაც, საკუთარი ინიციატივით, V კლასიდან გადავიდა. უყვარს ლიტერატურა და ხელოვნება, ფიქრობს, რომ ამიტომაც არ გასჭირვებია ენის შესწავლა, ქართულად თავისუფლად საუბრობს და სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად ემზადება.

კონფერენციაზე ნათია მანიას მეთორმეტეკლასელმა მოსწავლემ, **ლეისა ნაზაროვამ** საინტერესო ნაშრომი წაიკითხა – „თანამედროვე აზერბაიჯანული ქორწილი“. ქალბატონმა ნათიამ გვითხრა, რომ *„თემა შარშანდელი პროექტის ნაწილია, როცა ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები ერთობლივად წერდნენ თემებს, ერთმანეთს ადარებდნენ ორი ხალხის კულტურასა და ტრადიციებს, მაგალითად, აღდგომა და ნოვრუზ ბაირამი, მარნეულისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ისტორიული ძეგლები, აზერბაიჯანულ-ქართული სამზარეულო და სხვ. ასევე მონდომებით ჩაერთვნენ მეათეკლასელები გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში „დედამიწა ჩვენი სახლია“. კონფერენციის მომზადება საკმაოდ რთული საქმეა, მით უმეტეს, სასწავლო წლის ბოლოს. ამიტომ, შევთავაზე თავად მოეფიქრებინათ თემატიკა, შემდეგ უკვე გეგმის შედგენა მოვთხოვე. სლაიდები და ფოტოებიც თავად მოიძიეს და 3-კვირიანი მუშაობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლად დაწერეს თემა. რაკი ენის ფლობის დონე ჯერ დაბალია, რა თქმა უნდა, ვუსწორებდი, ძირითადად, გრამატიკას. რაც შეეხება მეორე პროექტს – „მოიარე საქართველო“, ასეთი პასიური ვერ ვიქნებოდი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოსწავლეებმა (სავარაუდოდ, ჩემდამი პატივისცემის გამოსახატავად) სამეგრელო აირჩიეს. მე უნდა გამეცნო მათთვის საქართველოს ეს კუთხე, ამიტომ სათანადო პრეზენტაციებიც მე მოვამზადე. ასე რომ, ამ პროექტის მონაწილეები მარტო ქართულს კი არა, ხშირად გეოგრაფიის, ისტორიის, ბიოლოგიის მასწავლებლებიც ვართ“.*

ეს აზრი ლაშა ნინიაშვილმაც დაადასტურა, რომელიც ორ წელზე მეტია იმავე მისიით, ოღონდ პროექტით „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, მარნეულში ცხოვრობს და მუშაობს. თავდაპირველად სოფელ კიროვკაში გააგზავნეს ქართულის დამხმარე მასწავლებლად. ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება შეგნებულად მიიღო. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულმა მიიჩნია, რომ მისი მომავალი პროფესიული ზრდისთვის ეს საუკეთესო და საჭირო გამოცდილება იქნებოდა. *„რუსთაველი ვარ და ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს, მაგრამ იქ ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ ეს სრულიად სხვადასხვა რამაა. დასაწყისში გამიჭირდა, მაგრამ რაკი გადაწყვეტილი მქონდა, გავცნობოდი რეგიონს, მის წესებს, კულტურასა და ტრადიციებს (რასაც ბავშვების სიყვარულიც დაერთო), რეალობას მალე შევეგუე. ჩემი წინამორბედების დამსახურებით, ადგილობრივი მოსახლეობა შედარებით კეთილგანწყობილი იყო. არაჩვეულებრივ ოჯახში ვცხოვრობ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარია, მათ შვილებს ქართულში ვამეცადინებ, მშობლებიც ცდილობენ ქართულის სწავლას. გარდა იმისა, რომ დამხმარე მასწავლებელი ვიყავი, ქარული ენის შემსწავლელი წრეც მქონდა, სიამოვნებით მოდიოდნენ ბავშვები, არასოდეს აცდენდნენ, მე მათ „უკანა მერხის ბავშვები“ შევარქვი. ვგულისხმობდი იმას, რომ ისინი არ იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში, არც ერთი საგნის. შევეცადე, მათი ინტერესი გამომეწვია და შევძელი კიდეც – ვასწავლიდი ქართულ ცეკვებს, ინფორმატიკას, გავხსენი სახელოსნო, სადაც ბავშვები ძველმანებისგან სხვადასხვა ნივთებს ქმნიდნენ. ცეკვის შესწავლის, ინფორმატიკაში მეცადინეობისა თუ სახელოსნოში მუშაობისას ჩვენ ქართულად ვსაუბრობდით და ამ უშუალო, საყოფაცხოვრებო დიალოგებით ენაც გაიტეხეს. შეისწავლეს კომპიუტერული პროგრამები და პრეზენტაციაც მოამზადეს თემაზე – „ჩემი სოფელი“. ეს პერიოდი ძალზე საინტერესო და შემოქმედებითი იყო. ახლა სადახლოს №2 სკოლაში ვასწავლი, ძირითადად, პროფესიული კუთხით ვარ დაკავებული. თუმცა, გაკვეთილების შემდეგ ჩამორჩენილ ბავშვებს ვამეცადინებ, ზოგს ანბანიდან სჭირდება დაწყება, მაგრამ ძალიან მონდომებულები არიან, ესმით ქართულის ცოდნის აუცილებლობა, რაც პედაგოგისთვისაც დიდი მოტივაციაა. I, II, V და VII კლასებს ვასწავლი, სულ 280 ბავშვს და მეამაყება, რომ ქვეყნისათვის და თითოეული მათგანისთვის საჭირო საქმეს ვაკეთებ“.*

ეს განწყობა არაქართველ მოსწავლეებთან მომუშავე ყველა მასწავლებელს აქვს, ზოგი პროექტის მონაწილეა, ზოგი არა, თუმცა მისია ზუსტად ისეთივეა, როგორიც პროექტის მონაწილეების. ერთი ასეთი პედაგოგიც გავიცანი ....იგი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ მოიწვია ამ ღონისძიებაზე თავის მოსწავლეებთან ერთად, რომლებმაც კონფერენციის დასრულების შემდეგ გამართულ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა.

**თეა გურგენიძე** საგარეჯოს რაიონის სოფელ იორ-მუღანლოს აზერბაიჯანული სკოლის ქართულის მასწავლებელი: *„პედაგოგიური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონში დავბრუნდი. მაშინვე განცხადებით მივმართე რესურსცენტრს სამსახურის თაობაზე. მითხრეს, რომ მხოლოდ აზერბაიჯანულ სკოლაში იყო მასწავლებლის ადგილი. იმდენად მინდოდა სამსახურის დაწყება, რომ დავთანხმდი. ძალიან კარგ ოჯახში მოვხვდი, შვილივით მიმიღეს და დღემდე ასეა, ქირასაც არ მახდევინებენ. ორი შვილი ჰყავთ, 1 სამხედრო აკადემიის სტუდენტია. მეც, რა თქმა უნდა, შევეჩვიე აქაურობას, 8 წელი ცოტა ხომ არ არის! ჩასვლისთანავე, რესურსცენტრის უფროსის დახმარებით, ქართული სექტორი გაიხსნა სკოლაში. არასოდეს დამავიწყდება პირველი გაკვეთილი – მეც ცრემლებით სავსე მქონდა თვალები და ბავშვებსაც, ერთმანეთს ვერაფერს ვაგებინებდით, მერე ყველაფერი აეწყო, მეგობრებიც მყავს სკოლაში – ისინი ქართულს სწავლობენ ჩემგან, მე – აზერბაიჯანულს. მაშინდელი პირველკლასელები ახლა IX კლასში არიან, ქართულად საუბარი არ უჭირთ. მონდომებაც დიდია, იმდენად დიდი, რომ სოფლის რწმუნებულის თანადგომით, სოფელ ლამბალოში ბაღიც გავხსენით, იქაც ვასწავლი, მათთვის გაცილებით ადვილი იქნება I კლასის პროგრამის დაძლევა. დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე სკოლაში და ბაღში ვარ, ძალიან ვიღლები, მაგრამ შედეგს რომ ვხედავ, ძალა მემატება, სახლში დაბრუნებულს ისე მხვდებიან, როგორც ოჯახის წევრს, არაფრის გაკეთება არ მომეთხოვება, მხოლოდ ვვახშმობ და ვისვენებ; ვიცი, ხვალინდელი დღეც ისევ ისეთი დატვირთული იქნება, როგორიც – წინა, მაგრამ საქმის სიყვარული და კეთილგანწყობილი გარემო ყველა სირთულის გადალახვაში მეხმარება“.*

კონფერენცია საინტერესო გამოდგა, თემატურად მრავალფეროვანი. ბავშვები თავისუფლად კითხულობდნენ თემებს, ზოგს ჯერ კიდევ აქვს მშობლიური ენისთვის დამახასიათებელი და ჩვენთვის ასე ნაცნობი, ინტონაცია, ზოგს – არა. მთავარია, მათ სახელმწიფო ენაზე შეუძლიათ ურთიერთობა თანატოლებთან, კიდევ უფრო მეტი სითამამისთვის კი მსგავსი ღონისძიებებია აუცილებელი. ეს კარგად იციან მათმა პედაგოგებმა. ამიტომ არის თითქმის ყოველი კვირა მათთვის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა ასპარეზზე თავის გამოჩენის ახალი შანსი.

# საქართველოო ლამაზო!..





ჩაიარეს უნივერსიტეტის წლებმა. ახალციხეში ერთი წლის უშედეგო ძებნის შემდეგ, მუშაობა ნინოწმინდის რაიონის სოფელ საღამოს საჯარო სკოლაში დავიწყე, ქართული ენის მასწავლებლად. უკვირდათ ცივ და უცხო ხალხით დასახლებულ მხარეში როგორ უნდა გაძლოო. ჯავახეთზე მხოლოდ ერთი სიმღერა გამეგო – „მე ჯავახეთ რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითო“.

მანქანის ფანჯრიდან გაკვირვებული ვუცქერდი ამაყად აზიდულ აბულს, ტრიალ მინდვრებს, აქა-იქ მიმოფანტულ სოფლებს და ულამაზესი ტბის პირზე მდებარე პატარა სოფელს.

თამარ მეფეს გაუვლია ამ სოფელში საღამოს და უთქვამს: რა მშვენიერი საღამოაო, მართლაც და საღამოს პირს ჰაერი ისე დარბილდება, ტბა ისეთ ფერს ღებულობს და ისე წყნარად და მსუბუქად იპარება ბინდი, რომ მთელი დღის სიმძიმით დაღლილ ადამიანს სიმშვიდეს და ნეტარებას ჰგვრის.

დიდი ნუგეში იყო სამი ძველი ეკლესია და დედათა მონასტერი თბილი და მოსიყვარულე დედებით, რომელნიც საქართველოს სიყვარულს უღვივებენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათთან ყოფნა სულიერად მაძლიერებს და ძალას მმატებს. მიწაზე რომ დააბიჯებ, სულ გახსოვს, რომ აქ დიდი ქართველები დადიოდნენ. მათი გადმოძახილი გესმის და გამხნევებს. ეს გრძნობა უფრო ძლიერდება თბილისისკენ რომ წახვალ, წალკის მიმართულებით. ფარავნის უზარმაზარ ტბასთან თითქოს წმინდა ნინოს აჩრდილს ხედავ. ალპური გარემო, უზარმაზარი ხედები, ვრცელი, ცაში აზიდული მთები...

ახალგაზრდა ოჯახმა მიმიღო, ქართული ენის სწავლა უნდოდათ... პატარა ოთახი შემომთავაზეს ჯერ კიდევ მოუწყობელ ბინაში. ჩემს ოთახს კარიც კი არ ჰქონდა და წყლის მოსატანად გაყინულ ტბაზე მიწევდა ჩასვლა, სამაგიეროდ, მათი გულის კარი იყო ღია და ოჯახის წევრად მიმიღეს. პაწაწინა რაფოსა და ტიგრანის მოფერება ხომ სიძნელეებისგან ძალაგამოცლილს მალამოდ მედებოდა. მერე პროექტში „ქართული ეანა მომავალი წარმატებისთვის“ მივიღე მონაწილეობა და კოორდინატორმა, ჩემი თხოვნით, კვლავ საღამოში გამომგზავნა (მადლობა ჩემს კოორდინატორს).

სკოლის დირექტორმა, თითოეულმა მასწავლებელმა სითბო არ დაიშურა ჩემთვის და გაჩაღდა მუშაობა. ქართული ენის გაკვეთილი მთელი დღე მიმდინარეობდა, ჯერ მოსწავლეებთან, მერე მასწავლებლებთან, სოფლის მოსახლეობასთან, საღამოს კიდევ ოჯახში.

ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მემუშავა მასწავლებლად, მაგრამ ახლა პირიქით, ვერ წარმომიდგენია, როგორ შევძლებ მოსწავლეების გარეშე ცხოვრებას. დიდი რვეული მაქვს მათ მიამიტურ ქცევებზე. აი, თუნდაც: ვდგავარ გაჩერებაზე, ჩემს მოსწავლეს მოჰყავს ორი დიდი ძაღლი (ჯაჭვებით). ძაღლები ჩემკენ იწევენ, ბავშვს აკონწიალებენ (ძალიან შემაშინა), მაგრამ ბავშვი იმდენად იყო გახარებული... სურვილი ჰქონდა ეჩვენებინა თავისი ძაღლები. სწორედ იმ დღეს ძაღლზე გვქონდა გაკვეთილი. და ამის მსგავსი შემთხვევები, უკვე მესამე წელია, ხშირად მეორდება... ენერგიულები, მოსიყვარულე და თბილები არიან, უბრწყინავთ თვალები, როდესაც გხედავენ. არდადეგებიდან დაბრუნებისას ვხედავ, ბავშვები გამორბიან ჩემკენ, ცენტრალური გზა უნდა გადმოეკვეთათ, ისე გამოიქცნენ, კინაღამ მანქანამ გაიტანა, ძალიან შემეშინდა, სიცილ-ტირილი ერთმანეთში ამერია. პატარები და მე შეშინებულები ვეხუტებოდით ერთმანეთს.

ვთამაშობთ, ვმღერით, ვხუმრობთ, ვუყურებთ მულტფილმებს და ასე ვეზიარებით ქართულ ენას.

სკოლაში ოთხშაბათს კითხვის დღე გვაქვს. ვკითხულობთ, ვმსჯელობთ, ბავშვები ხატავენ და წერენ წაკითხულის შესახებ და ასე ვკინძავთ დიდ წიგნებს. გულის ფანცქალით ელოდებიან საკითხავ ლიტერატურას, გაბრწყინებულები, „კითხვის დღე მასწავლებელო, კითხვის დღე“ – იმეორებენ.

ერთ-ერთმა მოსწავლემ შემოგვთავაზა: „არ შეიძლება მარიკა მასწავლებელო, ერთი დღე ქართული სიმღერის გვქონდეს? – ძალიან ბედნიერი ვიყავი და დავაწესეთ ქართული სიმღერის დღე...

„საქართველოო ლამაზოს“ ისე ტკბილად და გრძნობით მღერიან, რომ ჟრუანტელი დაგივლის ყოველი სიმღერის მოსმენისას.

და მართლაც,

„საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?“

მარიკა ოქრომელიძე

მოსწავლე შემოქმედი

# „ერთმანეთსა რითა ვგვანდით“
## ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“

**გთავაზობთ თბილისის მეექვსე საავტორო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლაბორატორიის ტრადიციული საგაზაფხულო კონფერენციისთვის მომზადებულ ნაშრომს, ავტორი – თათა გიორგობიანი (XII კლასი), კონფერენციის ორგანიზატორი და თემების ხელმძღვანელი – რუსუდან მეგრელიშვილი.**



მაგიური რამ არის შელოცვა... ავი თვალის, მორიელის, გველის ნაკბენის, დაშინებულის, უჟმურობის... სურდოს შელოცვაც კი არსებობს. შელოცვას რა ძალა აქვს – ამბობს ადამიანი და იცინის. მაგრამ იქ, ძალიან ღრმად, გულის ფსკერზე, სადაც საკუთარ თავთან განმარტოება შეგვიძლია, ეჭვი შეჰპარვია თავისსავე ნათქვამში, რადგან სწორედ იმ ადგილას ცხოვრობს გონებასა და საღ აზროვნებაზე ძლიერი რამ – რწმენა და იმედი. იმედი იმისა, რომ ამ მაგიურ სიტყვებს მართლაც აქვთ ძალა. სინამდვილეში კი იმედი გვკურნავს. მხოლოდ იმედი.

*„დაიბადა ელი.*
*სხვა არაფერი შემატებია იმ წელს ქართულ მშვენიერებას...“*

ელის ნამდვილი სახელი ელპიდა იყო, ძველბერძნულად – იმედი. იმედი იყო ელი თავისი მშობლების – ქართველი თავად შალვა გორდელიანისა და გერმანელი მუსიკოსი მატილდასათვის. იმედი იყო მთელი საქართველოსთვის, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული. ბუნებას აღზრდაც დაემატა – დედას ხელოვნების კულტი შემოჰქონდა ოჯახში, მამას კი ნამდვილი ქართული მხედრული სულისკვეთება. ბუნებაცა და გარემოც ხელს უწყობდა ელის, ყოფილიყო „ქართული შვენება“. თუმცა მისი ბედის გზა, ასე გრძელი და ჩახლართული, თანდათანობით შორდებოდა საქართველოს.

ელი ცოლად გაჰყვა რუს გრაფს, ვლადიმერ ანდრეის ძე ბორენკოვს. სწორედ აქ უნდა გაიჟღეროს პირველად ეპიგრაფში დაწერილმა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებმა:

*„რას მიქნევდით, რათ გინდოდით*
*ერთმანეთსა რითა ვგვანდით?*
*თქვენ მორჭმულნი თამაშობდით,*
*ჩვენ მტირალნი ლაწვსა ვბანდით“.*

ტარიელი ამ სიტყვებით ავთანდილს მიმართავს, რათა უკეთ დაანახოს განსხვავება უდარდელ როსტევანს, მის მოთამაშე ამალასა და საკუთარ თავს შორის. ელიც განსხვავდებოდა რუსი ქმრისაგან. განსხვავებული მენტალიტეტი, განსხვავებული აზროვნების სტილი. საკმარისად ბევრი განსხვავება იმისთვის, რომ ორი პიროვნება ერთმანეთისათვის სრულიად უცხო გახდეს. თუმცა ნიკო ლორთქიფანიძეს ალბათ უფრო მეტი აქვს ნაგულისხმები ამ ქორწინებაში, ვიდრე უბრალოდ ურთიერთობა ორ ადამიანს შორის. ელი, როგორც „ქართული შვენება“ ერთგვარად საქართველოს სიმბოლოცაა; შესაბამისად, ამ შეუღლების განმარტების წყაროსაც ისტორიის დიდ წიგნში შეხვდება ადამიანი, რომელშიც უამრავ ფურცელზე წერია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამბავი. ვერ შეეწყო საქართველო თავის „უფროს ძმას“ ისევე, როგორც ელი – ბორენკოვს. რუსი გრაფისათვის სრულებით მისაღები იყო ქორწინების ღამეს საკუთარი შიშველი ცოლის მეგობრებისათვის ჩვენება და ამით თავის მოწონება.

ზედმეტად დიდი იყო განსხვავება...

*„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა*
*არარას არგებს, ოდეს თვისება*
*ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.*

„ბედი ქართლისა“, ნიკოლოზ ბარათაშვილი

შერცხვენილი, დამცირებული „ქართული შვენება“ ისევ ქართველმა იხსნა. 26-მა მაისმა შეაუღლა ელი და იერონიმე შვინდაძე. თუმცა ელის ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა: „ვერ მოაწყობს ცხოვრებას“... მართლაც, იერონიმე გაჩნდა და ისევ მიიმალა. წავიდა ისევე, როგორც 26 მაისს მიღებული თავისუფლება, უეცარი და ხანმოკლე. თუმცა იერონიმემ დატოვა შვილი – იმედი ისევე, როგორც მცირედმა თავისუფლებამ დაუტოვა ქართველებს იმედი, რომ მას, რაც ერთხელ იყო, ისევ ეწერა განმეორება.

შემდეგ მოხდა ის, რაც იმ ისტორიის დიდ წიგნშიც კარგად წერია... აირია ქვეყანა; გადაგვარდა ადამიანი: „ძაღლებს მიუგდეს მოკლულის ცხედარი“ და აღშფოთებული პუბლიცისტი ყვიროდა, „ძაღლებს მაინც ნუ გაუფუჭებთ ზნესო“... მძიმე და რთულად გადასატანი დრო დაუდგათ ქართველებს. „ძია, კაპეიკი მომეცი“ – გაჭირვებაში იყო საქართველო. სხვისი ხასობაც რომ სანატრელი გამხდარიყო, ისეთი.

*„რას მიქნევდით, რათ გინდოდით*
*ერთმანეთსა რითა ვგვანდით?“*

ამ დროს გამოჩნდა ჰექსლეი და მასთან ერთად მეორედ გაიჟღერა ნაწარმოების ეპიგრაფმა. ჰექსლეი „უცნობი ქალის ხმამ მიიზიდა, თვალმა მოხიბლა, თმამ გააკვირვა... მიხრამოხრამ დაატყვევა“. თუმცა კი ელი ბევრად ლამაზი იყო ადრე, მაგრამ ჩონჩხითაც იცნო გაამერიკელებულმა ინგლისელმა სილამაზე.

„თქვენ ისე მაღალი ხართ“... – მეტი კომპლიმენტი არ უთქვამს ელის ჰექსლეისთვის (თუ შეიძლება ეს ფრაზაც კომპლიმენტად ჩაითვალოს). „საქართველოს შვენებას“ არ ჰყვარებია არც რუსი ბორენკოვი, არც ქართველი იერონიმე და არც ეს უცხოელი. შესაძლოა სიამაყის, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ყველაფრის სწრაფად და ადვილად დავიწყება ერჩივნა. მაგრამ მას ისეთი რამის დავიწყება გადაეწყვიტა, რისი დავიწყებაც არ შეიძლება – მამა, შვილი და სამშობლო... „ბედნიერი ელი მოივლის ქვეყანას... ამ საბურთალოს მტვერს კი ჩვენ გვიტოვებს“... – თქვა კავალერების იმედად მყოფმა თინომ, თინოს ბებიას კი არ სურდა ამ სიტყვების მოსმენა, რადგან კარგად იცოდა, რომ არის ამ ქვეყნად უამრავი რამ ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე სიმდიდრე, ვიდრე მატერიალური. სწორედ ამიტომ გადმოიღო მოხუცმა ძველი ყუთი, რომელშიც გაყვითლებული წერილები ეწყო – მოგონებები ამაღლებულ გრძნობებზე, რომელთა დავიწყება ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია.

სწორედ თინოსა და მისი ბებიის ეპიზოდში ვხვდებით პირველად შელოცვას – პირველ კავშირს ნაწარმოების სათაურთან.

*„ია მომგონებელსაო,*
*ვარდი გამხსენებელსაო“...*

თინო იცინის. „იცინე, იცინე, ასე შევულოცავდით და ვცხოვრობდით არხეინად“. ჩანს, რომ ძველად ხალხს მეტი იმედი ჰქონდა შელოცვებისა, მეტი რწმენა, შესაბამისად, უკეთესადაც ცხოვრობდა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ზემოთ მოყვანილ აზრს. თუმცა მეორე და უკანასკნელ შელოცვამდე ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი...

ელის მამა... პატიოსანი მოფილოსოფოსე კავალერისტი, თითქოს ძლიერი, სუსტი და უძლური აღმოჩნდა. საბოლოოდ, ჰექსლეიმ ელი წაიყვანა. შალვას შვილი „ჩამოართვეს“. შეურაცხყოფილმა კავალერისტმა დუელი დაუნიშნა უცხოელს. დუელი, რომელსაც შედგომა არ ეწერა. ისევ და ისევ თავად გორდელიანის გამო. ქართველი კაცი, ოდესღაც მამაცი, ახლა მძიმე დროებას, გაჭირვებასა და სილატაკეს დაებეჩავებინა, გაესაწყლებინა. დუელი, რომელიც ნიშანია ადამიანის თავმოყვარეობისა, არ შედგებოდა, რადგან სწორედ მძიმე დროებამ დააკარგვინა ყოფილ თავადს ყოფილი თავმოყვარეობა. ჰექსლეის მიმართ ის აგრესია, რომელიც ნებისმიერ თავმოყვარე მამას უნდა გასჩენოდა, შალვა გორდელიანის შემთხვევაში, იმპულსური და წამიერი იყო. ის პატარა შადრევანი, რომელიც ინერციით მოდიოდა წარსულიდან და რომელიც გულში დაბუდებულ ბალღამს ამოჰყვა. ფიქრისა და გაანალიზების შემდეგ, გორდელიანი დამორჩილდა ბედს და ჩხუბის, მით უმეტეს – დუელის გამართვის ნაცვლად, ბოდიში მოუხადა უცხოელს. მხოლოდ ერთი სთხოვა, უპატრონე ჩემს შვილსო, მეტი არაფერი.

*„უწყინარი,*
*უჩივარი,*
*ქედდრეკილი,*
*მადლიერი...“*

ეს მოიტანა სილატაკემ, „კოჭლმა დროებამ“.

ელი კი თავს გვერდზე გადაიქნევდა და ასე ცდილობდა დაევიწყებინა მამა, შვილი, სამშობლო... გაჰყვა ევროპელს, სრულიად უცხოს, სრულიად უცხო ქვეყანაში – „ქართულმა შვენებამ“ მიატოვა საქართველო, დაივიწყა საკუთარი ფესვები და მიაშურა თავგადასავლებით სავსე ცხოვრებას, დაცლილს სადარდელითა და სამშობლოთი. თუმცა უამრავი ქვეყნის მოვლის, უამრავი გასაოცარი ადგილის ნახვის შემდეგ მან მაინც ვერ იპოვა თავისი ადგილი. რადგან ის სხვაგან, ევროპიდან შორს იყო... თუმცა ამ ფიქრის გადაგდებას ცდილობდა ელი, მაინც არ შორდებოდა თავიდან. ამიტომ იჯდა მუზეუმებში განმარტოებით, იმ იმედით, რომ საკუთარ ადგილს იპოვიდა. მაგრამ იმედი კვდებოდა ნელ-ნელა, ისევე როგორც სახელი ელპიდა ჩაკვდა და მხოლოდ ლოცვებშიღა შემორჩა. მაგრამ ჩანს, ელის არც იმედი ჰქონდა, აღარც რწმენა. ვინ იყვნენ ჰექსლეი და ბრომლეი მისთვის? „რას მიქნევდით, რად გინდოდით, ერთმანეთსა რითა ვგვანდით“...

ჰექსლეი არ იყო ცუდი ადამიანი. ყველანაირად ცდილობდა ელის გამხიარულებას, ცდილობდა დაევიწყებინა მისთვის წარსული, რომელიც ასეთ მძიმე ლოდად ეწვა გულზე. თუმცა ჰექსლეიც სხვა იყო... მას არ უყვარდა ელი, მას ელის კისერზე ჩამოკიდებული საგანძური ხიბლავდა, რომელსაც დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა ნებისმიერი მუზეუმი. მისი მსოფლმხედველობა ქართველისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. არ ჰგავდა ქართველს არც „დავნაძლევდეთ მილიარდერი“ – ბრომლეი, თუმცა კი მას ელი წრფელი გულით უყვარდა. მათ შეეძლოთ ადამიანი გაეყიდათ ფულზე, რადგან ფული იყო მათთვის ცხოვრების კრედო. „მე ვეძებ მილიარდებს“ – ჰექსლეი ეძებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ ამასობაში კარგავდა სულიერებას, იმას, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური, იმას, რასაც აფასებდა მოხუცი ქართველი თინოს ბებია. ჰექსლეი და ბრომლეი კი ადამიანებზე დებდნენ სანაძლეოს, ამით იქცევდნენ თავს. ჰექსლეიმ ფულზე გაყიდა უერთგულესი რამინო, მისთვის სიცოცხლის გამწირავი, ამდენი ხნის მეგობარი, მცველი და მრჩეველი.

„ასე დამემართება მეც! ასე უნდა მოვიქცე მეც!“... – აუტანელი გახდა ელისთვის ის გრძნობა, რომლის დამალვასაც ის თავის მეორე სამშობლოში – გერმანიაში – ასე გულმოდგინედ ცდილობდა. ნოსტალგიამ, ყველაფრის ერთად მონატრებამ, უცებ ამოხეთქა ელის სულში რამინოს წასვლის შემდეგ, რადგან მიხვდა, რომ, თუ საქმე ფულზე მიდგებოდა, მასაც ისევე ელოდა გაყიდვა, როგორც რამინოს, ჰექსლეის ნაძმობ ინდოელს, ახლა დიდ ფულზე გაყიდულს ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

სახლში მოუნდა... საქართველოში მოუნდა...

*„ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,*
*სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;*
*სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,*
*რომ მზე ვერ გიჭკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?“*

„სუმბული და მწირი“

სუმბულივით სხვა მიწაზე გადარგულს მასაც ვერ მიეღო ის, რაც სამშობლოში ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ბევრს წერდა მასზე, ბევრს ლაპარაკობდა, ბევრს აქებდა. მაინც ვერ შეეგუა გერმანიას. რადგან საქართველო იყო მისი. მისი სულის ნაწილი. „ამას მოუხდება მძაღე ან კვაწარახი“ – ნოსტალგიის გრძნობა სულ უფრო და უფრო ებჯინებოდა ელის ყელში. სულ უფრო და უფრო სურდა გაცლოდა ადამიანებს, რომლებიც ფულზე ყიდიან სულიერებას. მაგრამ მან ხომ თავად აირჩია ეს გზა?! მან ხომ თავად გაცვალა სამშობლოს სალი კლდეები სხვა ქვეყნის სამოთხეებზე?! ის, მხოლოდ ის იყო დამნაშავე. მას დაეკარგა რწმენა სამშობლოში და საქართველოსთვის წაერთმია საკუთარი თავი – „ქართული შვენება“. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა გველებით ცეკვა – ეს იყო ერთგვარი საფასური თავისი საქციელისა, ის დიდი რისკი, ურომლისოდაც ვერ შეძლებდა სამშობლოში დაბრუნებას. მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა უფლება მისგან მიტოვებული და უარყოფილი სამშობლოს ხილვისა. იმდენად დიდი იყო ეს სურვილი, იმდენად დიდი იყო მიწის გულიდან ამოძახილი, რომ ელი ყველაფრისთვის მზად იყო. ასევე იყო მზად მართა (გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან), მიეტოვებინა ჩვილი, ოღონდაც სამშობლოსთვის კიდევ ერთხელ შეევლო თვალი.

ელის საფასური უნდა გადაეხადა. უძღები შვილ დომენიკოსავით თუნდაც დაკონკილი, გაუბედურებული მისულიყო სახლში, თუნდაც მიეღო სილა იმის გამო, რომ არც ერთი დრაჰკანი არ დატოვა სახლში, იმის გამო, რომ მთელი თავისი დრო, სიცოცხლე დაუთმო უცხო ქვეყნებს, უცხო თავგადასავლებს, იმის მაგივრად, რომ „ქართულ შვენებად“ დარჩენილიყო ბოლომდე. ის უძღები შვილივით აპირებდა შინ დაბრუნებას.

ის ცეკვავდა თვით აგურისფერკანიან ინდოელ გოგონაზე უკეთ, რადგან მზად იყო ყველაფერი გაეღო თავისი მიზნის ასასრულებლად.

მაგრამ... სიკვდილმა დაასწრო, სიკვდილმა შეუშალა ხელი ჩანაფიქრის აღსრულებაში ან ბედმა აღარ დართო დაბრუნების ნება.

გველნაკბენმა ელიმ ქართული შელოცვა მოითხოვა. სწორედ აქ იხსნება ნაწარმოების კვანძი. აქ ეფინება ნათელი იმას, თუ რატომ უწოდა ნიკო ლორთქიფანიძემ მას „შელოცვა რადიოთი“.

*„არიწკინდა ისევ ტელეფონი.*
*ტელეგრაფი არაკუნდა*
*და...*
*ქალი აბუტბუტდა თბილი წყლით სავსე კარდალაზე:*
*„სახელითა მღვთისათა, მამისა და ძისათა, და წმინდისა სულისათა; ლოცვა ნაკბენისა, გველის ასპიტისა, სანთე, რონთე, კანთე, როქაფთეს, ასმათეს“... – ეს შელოცვა გადმოსცეს საქართველოდან გერმანიაში რადიოთი. მაგრამ ელი მაინც ვერ გადაარჩინა“...*

რატომ? ელის ხომ სჯეროდა, მხოლოდ მშობლიური შელოცვა რომ გადაარჩენდა?! მას ხომ ისევ დაუბრუნდა რწმენა, ისევ დაუბრუნდა იმედი, ისევ დაიწყო მის ძარღვებში სახელ ელპიდას გაღვიძებამ! ეს ხომ ჩვენ, ადამიანები ვანიჭებთ ძალას უბრალო სიტყვებს?! ხომ მხოლოდ ჩვენი რწმენა ხდის მათ „შელოცვად“?! ან იქნებ... არის კიდევ რაღაც, რაც არ ემორჩილება ადამიანს, თავად შელოცვათა შემოქმედს? იქნებ მართლაც მაგიურია შელოცვა, ზებუნებრივი ძალებითაა მიჯაჭვული ფესვებს, სადაც წარმოიშვა, იმათ საფლავებს, ვინც შექმნეს. მაშინ გამოდის, რომ შელოცვა ეროვნულია, ერს ეკუთვნის, მხოლოდ იქ და იმ ადგილას აქვს ძალა. „შელოცვა“ და „რადიო“ კი ერთმანეთის საპირისპირო, კონტრასტული ცნებებია. ისეთი მაგიური, ისეთი ცოცხალი რამ, როგორიც შელოცვაა, არ შეიძლება გადაიცეს რადიოთი, მშობლიური მიწა-წყლიდან უამრავი კილომეტრის მოშორებით. მაშინ ისიც, იმედისა თუ რწმენის მიუხედავად, დაკარგავს თავის ძალას.

ელის ზოგი თანაუგრძნობდა საქართველოში, ზოგიც კიცხავდა, ზოგსაც ეცოდებოდა. ელის ფერფლი კი თავისი სამშობლოდან შორს, ძალიან შორს, თავისსავე ქანდაკებაში ჩაკეტეს სამუდამოდ. „ელის ხომ უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლო მიმოებნიათ!“... პოეტისა, რომელიც ასევე უცხოეთში გარდაიცვალა.

ასე დაიკარგა „ქართული შვენება“ – უცხოეთში გადარგულ სუმბულად. მიწა კი მაინც კიოდა მთელ თავის ხმაზე, თუმცა სიშორისდა გამო ვერც ამ ხმამ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე და ვერც ადრესატამდე მშობლიურმა შელოცვამ.

სასკოლო აქტივობა

# სკოლა „ჯეჯილის“ საანგარიშო კონცერტი





7 მაისს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო კულტურულ ცენტრ „მუზაში“, ჩატარდა კერძო სკოლა „ჯეჯილის“ საანგარიშო კონცერტი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ატარებს საანგარიშო კონცერტს, მაგრამ წლევანდელი სალამო მაინც უჩვეულო იყო. კონცერტის დევიზი იყო: „გვიყვარდეს ერთმანეთი“.

პირველი ნაწილი დაეთმო ვოკალურ ჯფუფებს, დუეტებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, რომლებმაც ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს და უამრავი აპლოდისმენტიც დაიმსახურეს (პედაგოგი – **მზია მუკატარიძე**).

მეორე ნაწილი უჩვეულო გახლდათ. III, V, VI და VII კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მიუზიკლი – „დაუნდობელი სამყარო“, რომელიც სამი ზღაპრის – „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „მძინარე მზეთუნახავი“ და ფოლკლორული ზღაპრის – „სარკე, ხალიჩა და ლიმონის“ მიხედვით იყო დადგმული. ეს იყო განსხვავებულ ამპლუაში წარმოდგენილი სპექტაკლი, სადაც ცეკვები, სიმღერები და ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი ნაწყვეტები სინქრონულად მიმდინარეობდა (რეჟისორი – ინგლისური ენის პედაგოგი **მანანა მუკატარიძე**).

მიუზიკლის თითოეულმა მონაწილემ დიდი სიყვარულით, რუდუნებითა და მონდომებით წარმოადგინა ლამაზი, ჯადოსნური, მდიდარი, მაგრამ ზოგჯერ საშიში და დაუნდობელი სამყარო.

ბავშვებმა გულმოდგინედ ითამაშეს მათთვის საყვარელი გმირები: ფიფქია, მძინარე მზეთუნახავი, სულთნის ასული, სულთანი, რომელთაც რთული გზის გავლა მოუხდათ, მაგრამ მეგობრების დახმარებით ყველა დაბრკოლება გადალახეს და ბედნიერი ცხოვრება განაგრძეს.

**.მზია მუკატარიძე.**

# სასწავლო წლის ნაყოფიერი ფინალი

სასწავლო წლის ბოლო მეტად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გამოდგა საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებისათვის (საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი).

26 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, უმცროსკლასელთა (VI-VIII) და უფროსკლასელთა (IX-XII ) ტრადიციული ინტელექტთამაშები გაიმართა, რომელიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. უმცროსკლასელთა ინტელექტთამაშს უძღვებოდა ქალბატონი **ლია ქვლივიძე**, მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1, №3, №4 და პატარძეულის საჯარო სკოლების გუნდები. შეჯამდა წლის შედეგები, რომლის მიხედვითაც I ადგილი საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა (პედაგოგი – **მარინა გულისაშვილი**), II ადგილი საგარეჯოს №4 (პედაგოგი – **ქეთევან ქვლივიძე**) და პატარძეულის საჯარო (პედაგოგი – **თამარ გულიაშვილი**) სკოლების გუნდებმა გაინაწილეს, III ადგილი წილად ხვდა საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის გუნდს.

ამავე დღეს გაიმართა უფროსკლასელთა ინტელექტთამაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1 (პედაგოგი – **მარინა შაქარაშვილი**), საგარეჯოს №4 (პედაგოგი – **ქეთევან ქვლივიძე**), ხაშმის საჯარო სკოლების გუნდი და მანავის 2 გუნდი. აღსანიშნავია, რომ ხაშმის საჯარო სკოლის გუნდიდან მხოლოდ 2 მოსწავლე თამაშობდა. თამაშს, ტრადიციულად, ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ბადრი დრეიძე** უძღვებოდა. აქაც, წლიური შედეგებით, I ადგილი წილად ხვდა №1 საჯარო სკოლის გუნდს, II ადგილი №4 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, ხოლო III – ხაშმის საჯარო სკოლის გუნდმა.

თამაშების მონაწილენი დიპლომებით დაჯილდოვდნენ, მადლობის ფურცლები თანამშრომლობისათვის გადაეცათ აღნიშნული სკოლების დირექტორებს და გუნდების პედაგოგებს, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ წიგნებით.

28 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, დუზაგრამის ქართული ენის ცენტრის, იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებლის **თეა გურგენიძის** და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მეთოდკაბინეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, იორმუღანლოში ჩატარდა „მეგობრობის დღესასწაული“, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეებს მიეძღვნა. კონცერტში, აზერბაიჯანელი ბავშვების გვერდით, მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების, პატარძეულის, საგარეჯოს №1, №3 საჯარო სკოლების, ბავშვთა ვოკალური სტუდიის (ხელმძღვანელი – **მარინა ურდულაშვილი**), საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის (ხელმძღვანელი – **თინათინ სუხიაშვილი**) მოსწავლეები. შეკრებილთ მიესალმა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა იორმუღანლოს ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა **მუბარიზ მამედოვმა**, ასევე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელმა **ნინო ფურცელაძემ**, მეთოდისტებმა: **ალექსანდრა მატვიევიჩმა** და **ნანა მახარაძემ**.

1 ივნისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ახალგაზრდული სამსახურისა და კულტურის სამსახურის თანადგომით, საგარეჯოს კულტურის სასახლის მიმდებარე სკვერში, გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი პატარებისათვის. საღამოს 5 საათზე გადაიკეტა მოძრაობა და პატარა მხატვრებმა საგარეჯოს ოთხივე, პატარძეულის, მანავის, თოხლიაურის საჯარო სკოლებიდან და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლიდან ასფალტზე ხატვა დაიწყეს. იქვე სკვერში გაიმართა გამოფენა თემაზე – „აკვარელის შესაძლებლობები“. 18 საათზე კი საზეიმო კონცერტი „შავფაროსნებმა“ (ხელმძღვანელი – **ლევან ოქროპირიძე**) გახსნეს. მათ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის ჯგუფი მოჰყვა – **ირინა ბაირამაშვილის**, **თეა ხატიაშვილის** და **მარინა ურდულაშვილის** სტუდიების პატარა მომღერლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. კონცერტში მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეები, **თინათინ სუხიაშვილის** ხელმძღვანელობით, პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეები – **მარიამ ქვლივიძე** და **თამარ ცხვარიაშვილი**. ამ დღის ყველა მონაწილემ საჩუქრად ნაყინი იგემა...

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 1 ივნისის ღონისძიებაზე გაიმართა ჩვენი მუნიციპალიტეტის 3 მოსწავლის – **თამარ ჩერქეზიშვილის** (თოხლიაურის საჯარო სკოლა), **ანრი ლაფერიშვილის** (პატარძეულის საჯარო სკოლა) და **ესთერ ასრიაშვილის** (მანავის საჯარო სკოლა) დაჯილდოება ბელორუსიის ბავშვთა ნახატების IX საერთაშორისო გამოფენის „საკუთარ მიწაზე“ დიპლომებით, რომლებიც მინსკიდან გამოუგზავნეს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოფენის დიპლომანტი საქართველოდან სულ 5 მოსწავლე გახდა, მათ შორის 3 ჩვენი მუნიციპალიტეტიდანაა.

8 ივნისს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე მასპინძლობდა საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების, იორმუღანლოს საჯარო სკოლის და ბავშვთა ვოკალური სტუდიის (ხელმძღვანელი – **მარინა ურდულაშვილი**) მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს. ამ დღის ღონისძიებები 28 მაისის ლოგიკური გაგრძელება იყო. ეს იყო დაუვიწყარი დღე ჩვენი მოსწავლეებისთვის. სასახლეში ძალიან თბილი გარემო დახვდათ, სარკეებიან დარბაზში მათ მხიარული თამაშობები ითამაშეს, იმღერეს, დაუკრეს, გაერთნენ. შემდეგ ჯგუფებად გაიყვნენ და პირველი ვიზიტი პლანეტარიუმში გააკეთეს, დაათვალიერეს არქეოლოგიის, ქართული ენა-ლიტერატურის, მხარეთმცოდნეობის, ხატვის და სხვა კაბინეტები. ხატვის ოთახში გაკვეთილიც ჩაუტარდათ და დახატეს კიდეც. მეტად საინტერესო შეხვედრა მოუწყო „პიონერფილმმა“ (კაბინეტის გამგე – **გრიშა ჩიგოგიძე**). აქ მათ აჩვენეს, როგორ იქმნებოდა „პიონერფილმი“, როგორ ხდება სცენარზე მუშაობა, გადასაღები მოედანი და მინიატურული ფილმები... ბავშვებმა თვითონაც გადაიღეს მინი-სიუჟეტები. საღამოს კი სასახლის მუსიკალური სტუდიის და საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის ბავშვების ერთობლივი კონცერტი გაიმართა, რომელშიც იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, კონცერტი გახსნა მომღერალმა **ენრიკო ჯანელიძემ**, რომელმაც ქართულ-სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე შეასრულა სიმღერები.

დასრულდა მეგობრობის დღესასწაული, მაგრამ არ დასრულებულა პროექტი. ამ ღონისძიებებით დიდ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან კვლავაც გაგრძელდება.









**თამარ ჯაბადარი**
*ა(ა) იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი*

## იურისტის კონსულტაცია

**დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა?**

დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

**შესაძლებელია, შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს?**

ბათილია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან დამსაქმებლის მიერ პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე გამოცემული დოკუმენტის ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

**შესაძლებელია, დასაქმებულმა შეასრულოს შეთავსებითი სამუშაო ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს?**

პირს, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შეუძლია შეასრულოს შეთავსებითი სამუშაო ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს.

**რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს პირის უფლება შეთავსებითი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით?**

დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

**რა შემთხვევაში შეიძლება დაიდოს პირთან შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით?**

შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით.

**რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გამოსაცდელი ვადა?**

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

**გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია?**

გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია. ამ ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

**გამოსაცდელი ვადის პერიოდში დამსაქმებელს შეუძლია დასაქმებულთან დადოს შრომითი ხელშეკრულება?**

დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ნამუშევარი დროის შესაბამისად ანაზღაურდება.

*ნათა ჩანადირი*
*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი*

## სპორტი

# ლიგებმა გამარჯვებულები გამოავლინეს

სასწავლო წელი იწურება და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებული სასკოლო ლიგების გათამაშებაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში დასასრულს უახლოვდება.

კალათბურთში ეს ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა – დაახლოებით 40 სკოლის 400 მონაწილე ჩაება. ფინალურ პაექრობებს დედაქალაქის 173-ე საჯარო სკოლამ უმასპინძლა, სადაც მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს მასპინძელი და 120-ე სკოლების გუნდები შეხვდნენ. მასპინძლები (დირექტორი – **შორენა ბუნტური,** სპორტის მასწავლებელი – **დავით მენაბდიშვილი**) ადრეც გამოირჩეოდნენ ანალოგიურ შეჯიბრებებში და ახლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ – ფინალი 85:55 მოიგეს და ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრეს. ვერცხლის მედლები 120-ე სკოლას (დირექტორი – **მარინა წერეთელი**, სპორტის პედაგოგი – **მევლუდ ლაშაური**) გადაეცა, ბრინჯაოს კი 67-ე სკოლა დაეუფლა (დირექტორი – **ქეთევან სამადაშვილი**, სპორტის პედაგოგები – **გურამ ბოკუჩავა, მანანა მალაციძე**). მათ მესამე ადგილისთვის შეხვედრაში 133-ე სკოლის გუნდს (დირექტორი – **ლიანა ფუტკარაძე**, სპორტის პედაგოგი – **თამარ შალაშვილი**) 61:49 დაამარცხეს.

დასრულდა ფრენბურთელთა გათამაშებაც, რომელიც ასევე მასშტაბური გამოდგა. ამ სახეობაში ფინალური პაექრობები თბილისის 21-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა. შეჯიბრება გოგონებსა და ბიჭებში ორ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა. გოგონებს შორის, უმცროსებში, 45-ე სკოლის გუნდმა გაიმარჯვა (სპორტის პედაგოგი – **მაია ქორიაშვილი**), ვერცხლი 74-ეს (სპორტის პედაგოგი – **თეიმურაზ ბიბილაშვილი**) გუნდს დარჩა, ბრინჯაო – 51-ეს (სპორტის პედაგოგები – **ირინა სიმონიანი**, **დიანა მანგოშვილი**). უფროსთა ტურნირი 103-ე სკოლამ მოიგო (სპორტის პედაგოგი – **ეკატერინე ყარყარაშვილი**); მეორეზე 45-ე გავიდა, მესამეზე – 155-ე. ამავე სკოლამ მოიგო ბიჭების ორივე ასაკი. უმცროსებში მათ, ფინალში, 45-ეს მოუგეს, ბრინჯაო კი 30-ემ (სპორტის პედაგოგი – **მაკა ქურციკაშვილი**) ირგუნა. უფროსებში მეორეზე 176-ე სკოლა (სპორტის პედაგოგები – **ეკატერინე ყარყარაშვილი, თეიმურაზ ჭაბუკიანი**) გავიდა, მესამეზე – 45-ე. ამ ტურნირის დასრულების შემდეგ სპორტის პედაგოგებისა და გოგონების გუნდების შეხვედრაც გაიმართა, რაც შეჯიბრების მხიარულ აკორდად იქცა.

# ფესტივალის ფინალისტები გამოვლინდნენ

საქართველოს კალათბურთის აკადემიის დარბაზში მიმდინარეობს მინი-კალათბურთის ფესტივალი 2002 წელს დაბადებულთა შორის. ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით (სპონსორი – „პრივატბანკი"), ფესტივალმა სტარტი გაზაფხულზე აიღო და მასში 21 გუნდი მონაწილეობს. ფესტივალს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ტარდება, წინ უძღოდა თბილისის ანალოგიური შეჯიბრება. ის „ჰიუნდაის" გამარჯვებით დასრულდა.



ახლანდელი შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება – დარჩა მხოლოდ ფინალური პაექრობა, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება. ტურნირი ეტაპის შეხვედრებით დაიწყო, მერე კი პლეი ოფებში გაგრძელდა მეოთხედფინალიდან. ამ ეტაპზე, ყველაზე დაძაბული „აჭარისა" და „ოვერტაიმის" პაექრობა გამოდგა. აჭარლებმა ჯგუფური ეტაპი მოიგეს, ახლა ფინალშიც არიან და იმ შეხვედრაშიც ფავორიტად მიიჩნეოდნენ. ეტყობა, ამან მათზე ცუდად იმოქმედა და თავიდან რამდენიმე ლიდერი დაასვენეს. შედეგად პირველი მეოთხედი 4:10 წააგეს. ამის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ თამაშში ძირითადი ხუთეული ჩართო, რამაც შედეგი გამოიღო – თამაში თანდათან გაათანაბრეს, ინიციატივასაც დაეუფლნენ და შეხვედრაც 36:27 მოიგეს.

სხვა პაექრობებში გამარჯვებული გაცილებით იოლად გაირკვა – „დინამომ" „მართვეს" 63:44 მოუგო, „ჰიუნდაიმ" „აკადემია 2" 43:34 დაამარცხა, „ქუთაისმა" კი „სოხუმს" 50:31 სძლია.

ნახევარფინალში „დინამო" ქუთათურებთან დაწყვილდა, აჭარლებს კი „ჰიუნდაი" ერგოთ. ორივე შეხვედრა დაძაბულ, საინტერესო ბრძოლებში წარიმართა, თუმცა სიმძაფრით პირველი წყვილის პაექრობა გამოირჩეოდა. აქ ძირითადი დრო ფრედ დასრულდა – 43:43, დამატებით 3-წუთიან მონაკვეთში კი დინამოელებმა მეტოქის წინააღმდეგობა გატეხეს და ჯამში 48:46 მოიგეს. აჭარის ნაკრებმა შედარებით იოლად და უდავოდ აჯობა თბილისელებს – 44:32 მათ სასარგებლოდ.

ამდენად, ფესტივალის ფინალში „დინამო" და „აჭარა" ითამაშებენ.

# ჭაბუკთა პირველი და შესარჩევი ტურნირი

ამ დღეებში თბილისში პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის, რომელიც ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის სიახლეა. ესაა ერთ-ერთი შეჯიბრება იმ მცირერიცხოვან ქართულ შეჯიბრებათაგან, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი. თავდაპირველი განრიგით, მისი გამართვა მცხეთაში იგეგმებოდა, მაგრამ, იქაური დარბაზის არასტანდარტული პარამეტრების გამო, თბილისში, „მართვეს" სპორტულ კომპლექსში გადმოიტანეს.

ტურნირში უცხოელებიც მონაწილეობდნენ – სომხეთი, ირანი, აზერბაიჯანი და რუსეთი, რომელსაც კრასნოდარის მხარის გუნდი წარმოადგენდა. ჩვენი ნაკრებისთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო, როგორც ამ ასაკის მსოფლიოს პირველობისთვის შესარჩევი. ამიტომ მწვრთნელმა **დავით ბედინაძემ** ყველა ლიდერი აჭიდავა, მათ შორის – ევროპის წლევანდელი ჩემპიონ-მედალოსნებიც. გამონაკლისი მხოლოდ მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონი, ქუთაისელი **ზვიად პატარიძე** იყო, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, თუმცა საშიშიც არაფერია, მსოფლიოსთვის მზადებაში ხელი რომ შეუშალოს. ნაკრებმა უკვე დაიწყო ბათუმში მსოფლიოსთვის მოსამზადებელი შეკრება და პატარიძე თან გაჰყვა თანაგუნდელებს. ის 15-20 ივლისს, სლოვაკურ სნინაში, მსოფლიოს პირველობაზე ნამდვილად იასპარეზებს, რადგან წონაში სერიოზული კონკურენტიც არ ჰყავს.

ევროპის დანარჩენმა წლევანდელმა მედალოსნებმა სხვა წონებში იჭიდავეს. ხობელი ბრინჯაოს მედალოსანი **ნუგზარ წურწუმია** ამჯერად 46-ში გამოვიდა, თუმცა ამას საერთო წარმატებაში ხელი არ შეუშლია, მაინც გაიმარჯვა. სამაგიეროდ, ხელი მოეცარა ევროპის სართიჭალელ ჩემპიონ **ნიკოლოზ ჭიკაიძეს** – ახლა 69-ში გამოვიდა, მაგრამ ნაადრევად დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. ამ ორს მაინც გარანტირებული აქვს მსოფლიოზე წასვლა, ოღონდ იქ ორივე თავის წონაში იჭიდავებს – წურწუმია 42-ში დადგება, ჭიკაიძე – 63-ში. ამათ გარდა, ახლანდელ ტურნირში გამარჯვებით სნინაში გამოსვლა გაინაღდეს **გიორგი კურტანიძემ** (58), **დემურ ქავთარაძემ** (69) და **დავით გოგიძემ** (85), დანარჩენ წონებში მონაწილეებს კი ბედინაძე საკონტროლო შეხვედრების შემდეგ შეარჩევს.

ტურნირში მედლების უმეტესობა მასპინძლებმა მოიპოვეს, თუმცა მთლად ხელცარიელნი არც სტუმრები დარჩენილან. ჩვენებმა 7 ოქრო მოიპოვეს, ირანმა – ორი, სომხებმა – ერთი. ზემოჩამოთვლილთა გარდა, სხვა წონებში ირანელებმა – **ალირეზა ნეჯატიმ** (42) და **მეისამ დალანიმ** (54), სომეხმა **დავით ოვსეპიანმა** (100) და მასპინძლებმა – **ლერი ბედინაძემ** (50), **ვლადიმერ შავაძემ** (63) და **ალექსანდრე გუმბერიძემ** (76) გაიმარჯვეს.

# სტუდენტურ დღეებში სტუ-მ იმარჯვა



4-5 ივნისს, სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსთან, სტუდენტური ტურნირი გაიმართა 3x3 კალათბურთში. შეჯიბრება „სტუდენტური დღეები 2014 – ევროპული მომავლისათვის" პროექტის ფარგლებში ჩატარდა. მისი ორგანიზატორი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროა, მხარდამჭერები კი საუნივერსიტეტო სპორტისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციები იყვნენ.

შეჯიბრების მთავარი ნოვაცია ქართული რეალობისთვის უპრეცედენტო და აქამდე უცხო სათამაშო მოედანი იყო. ესაა ულტრათანამედროვე, სტანდარტული საკალათბურთო მოედნის ზომების შესაბამისი მოძრავი მოედანი, რომლის გადატანა და გაშლაა შესაძლებელი ნებისმიერ ადგილას, სადაც კი სათანადო ფართი და სწორი ადგილია. მოძრავი მოედანი კალათბურთის ფედერაციამ სამინისტროს მხარდაჭერით შეიძინა და სწორედ მასზე ჩატარდება პირველი ეროვნული ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში.

ფიბა-ს ეგიდით ჩატარებულ ამ ტურნირში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 20 გუნდი ჩაება, რომლებმაც მაყურებელს საინტერესო თამაშები შესთავაზეს. მათ ჯერ გუნდურ ეტაპზე იასპარეზეს, პლეი ოფში კი 16 გუნდი გავიდა. ნახევარფინალში თსუ-მ სამედიცინო უნივერსიტეტს 14:10 მოუგო, ხოლო სტუ-მ „ილიაუნის" 18:7 აჯობა. ფინალში სტუ-მ 20:12 დაამარცხა თსუ და, მედლებთან ერთად, ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასიც ჩაიბარა. შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ სტუ-ს წევრი **აკაკი ლომოური** დაასახელეს, რომელიც ტურნირის სპონსორმა – კომპანია „ბილაინმა" – მობილური ტელეფონით დაასაჩუქრა.

რუბრიკას უძღვება
**ირაკლი თავაძე**

## წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

### გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი




ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექნებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



**სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში**

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
16. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

## ქართველი მწერლები

❖ ვაჟა–ფშაველა (10–ტომეული)
I–V ტომი, – 11 ლარი

❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7–ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7–ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2–ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10–ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6–ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9–ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6–ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10–ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6–ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5–ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. იაკობ ხუცესი
12. იოანე საბანისძე
13. დავით გურამიშვილი
14. ბესიკი
15. რევაზ ინანიშვილი
16. ალექსანდრე ჭავჭავაძე
17. თეიმურაზ I
18. ვახტანგ VI
19. გიორგი მერჩულე
20. გრიგოლ ორბელიანი
21. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

## წიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები"

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



## რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ ფულადი ... ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22



ფასი – 15 ლარი

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

„დიოგენე" გამომცემლობა



**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი



**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

### ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

### ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

### ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ქ. პეტრიაშვილი, ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

### ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

### გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

დიოგენე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK